წელიწადი მეორე ფასი 5 კაპ. პარასკევი 26 თებერვალი 1916 წ. № 44

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

**განცხადების ფასი**

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე [illegible] 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., **კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი:** სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ღირება 4 მ.

**დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.**

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**ურპემიოდ ღირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

**პრემიებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ.

გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.

**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.

**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

საგალანტერიო მაღაზია

**ერ. ივ. ჭავჭანიძისა და ი. ი. გველესიანისა**

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.

**იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:**

ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი

(101—წ.)

საუკეთესო კახური

**ღვინის საწყობი**

ადამ ზურაბის ძის

**ბერელაშვილისა**

მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.

(102—წ.)

**შეშის საწყობი**

ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა

ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასში

**საკუთარი ტყიდან**

საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც

(103—წ.) ტელეფონი 5—96.

ქ. ბაქოში

**ღვინით ვაჭრობა**

**„მელაანი“**

თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.

იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები

(112—წ.)

**სასტუმრო „ავრორა“**

ახლად შეკეთებული, მდიდრულად მორთული ნომრები.

უაღრესი სიფაქიზე. **ელექტრონის განათება**

ქალაქის შუაგულში, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად

ნომრები ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასებშია.

თვიურ მდგმურებს ფასდაკლებით ეთმობათ.

**სასტუმროსთან მოწყობილია სამზარეულო, ვანები თბილი და ცივი წყლით.**

თბილისი, მიხეილის ქუჩა № 5. ტელეფონი 12—85.

(წ.—)

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

**ახალი აფთიაქი**

—პროვიზორის ახვლედიანისა—

კბილის ექიმი

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

მიიღება ხელის მოწერა

პირველი წელი | პირველი წელი

„საქართველო“-ს რედაქციის თაოსნობით 1916 წლიდან სამ თვეში ერთხელ გამოვა

**კაზმული და სამხატვრო კრებული**

**„მერანი“**

**კრებული წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 4 მანეთი.** ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: 1 მარტამდე 2 მანეთი, 1 თიბათვემდე 2 მანეთი, ცალკე ნომერი ეღირება 1 მ. 30 კ. კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრებისგან დასურათებული. შემოდგომის კრებული საგანგებოდ მიეძღვნება ჩვენი დიდებულის მგოსნის ნ. ბარათაშვილის ძვირფას ხსოვნას მის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად.

ხელის მოწერა მიიღება „საქართველოს“ რედაქციის კანტორაში, თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4.

**გაზეთ „საქართველო“-ს წლიურ ხელის მომწერთ კრებული „მ ე რ ა ნ ი“ უფასოდ დაურიგდებათ.**

უფასოდ დაურიგდება

მოკლე ხანში ხელის მოწერით გამოვა

**კიკნა-ფშაველის**

**პოემათა და ლექსთა კრებული**—ავტორის სურათით, ბიოგრაფია-წინასიტყვაობით და **დ. კასრაძის** კრიტიკული წერილით.

**ეღირება ათ შაურად.**

**ხელის მოწერა შეიძლება**—თბილისში: **„თეატრი და ცხოვრების“** რედაქციში; ალ. შარიკაძესთან—ტრამვაის მოსამსახურეებში; **საშუალო სასწავლებლებში; გ. ქუჩიშვილთან**—ქ. კულტ. მოყვ. საზ.; ალ. **ძაძამიასთან**—რკინის გზის სახელოსნოში და კერძო აგენტებთან. **თელავში—ნ. გოგოლაძესთან**—წ.-კ. გამ. საზ. მაღაზ.; **თიანეთში—ი. რიბალაშვილთან**—აფთიაქში; **გორში—თამ. მაკალატიასთან; ჩოხატაურში**—აფთ. ცინცაძესთან; **პეტროგრადში—სტუდ. ცირგილაძესთან; ხარკოვში**—სტუდ. ალ. გრიგოლიასთან; **დორპატში—სტუდ. გრ. ხერხეულიძესთან;** მოსკოვში—სტუდ. **ხაჩიძესთან** და სხვა დაბა-ქალაქებში.

**ვასწავლი**

ქართულ „სიმღერა-გალობას“ ძ ვამზადებ მომღერალ-მგალობლებს, დიდ და მუდმივ სახალხო გუნდისათვის. მიღება და ჩაწერა

**მიხეილ კავსაძესთან**

(ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სკოლა.—ორშაბ., ოთხშაბ. ძ პარასკეობ. საღ. 6-9-დე).

ვასწავლი მუშა ხალხსაც.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

**კალანდარიშვილი**

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

ექიმ-დოსტაქარი

**გ. მ. მუხაძე**

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ექიმი

**მ. დ. წინამძღვრიშვილი**

**უ. ორდინატორი ხარკოვის** უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულელებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი,** 24 თებერ. **ოფიციალი. დასავლეთის ასპარეზი.** რიგის რაიონში რუსთა არტილერიამ არა ერთხელ გაჰფანტა გერმანელთა მუშები და ჩააჩუმა მათი ბატარეები. დვინსკის პოზიციაზე ილლუქსტთან ბრძოლა სწარმოებს აფეთქებულ ნაღმის ნათხარის ხელში ჩასაგდებად. გერმანელთა მეცადინეობამ ამ ნათხარის ხელში ჩასაგდებად უნაყოფოდ ჩაიარა. პონევიესს რკინის გზის სამხრეთით გერმანელები შევიწროვებულ იქმნენ, რუსებმა წინ წაიწიეს. ოლიკის ჩრდილოაღმოსავლეთით კოველ-როვნოს ხაზზე გერმანელები ორჯერ შეეცადნენ რუსთა თხრილებს მოახლოვებოდნენ, მაგრამ ყოველთვის უკუგდებულ იქმნენ დიდის ზარალით. ზემოსტრიპის რაიონში რუსებმა ერთი ჯგუფი მზვერავებისა თხრილებამდე 50 ნაბიჯზე მოუშვეს და შემდეგ სროლით გაჰფანტეს ყველა. ბოიანის ჩრდილოეთით რუსებმა მოსპეს მტრის სადარაჯო.

**კავკასიის ასპარეზი.** ზღვის სანაპიროებზე ოსმალთა შევიწროებას განაგრძობენ. 23 თებერვალს აიღეს ქალ. რიზე.

სპარსეთში რუსის ჯარებმა აიღეს ქალაქი სენნე, რომელიც ქერმანშაჰის ჩრდილოეთით 50 ვერსზე მდებარეობს.

რუსეთის ლაშქრობა დიდის ყურადღებით თვალ-ყურს ადევნებს ფრანგთა ჯარებს.

—

**პარიზი,** 23 თებერ. „ჟურნალ დე დება“ სწერს: „ფრანგთა ჯარების თავდაცვის ხაზი რამდენადმე გადაწეული იქმნა უკან მის მარჯვენა ფრთაზე. ამნაირად, განწმენდილ იქმნა მდ. მაასის გამოწეული ადგილი. ამ ჟამად ეს ხაზი მოსდევს ამავე მდინარეზე მდებარე სოფ. კიუმერიდანა მაღლობ კოტ-დე-ლუაზს. ჩვენს ჯართა ასეთს უკან დახევას დიდი მნიშვნელობა არ უნდა მივცეთ. სტრატეგიული თვალსაზრისით საჭირო იყო წინა პოზიციების დაცლა რათა უფრო შეთანხმებული მოქმედება გაჩაღდეს სხვა ჯარებთან ერთად. განა უნდა რაიმე იმედი გვქონოდა, რომ შევძლებდით ამ ადგილის შეკავებას, სადაც გერმანელთ შეეძლოთ გზა გადაეჭრათ და ზურგიდან მოგვქცეოდნენ. ბენკურ და კოტ-დე-ლუაზს პოზიციებზე მთავარი გზა ამ მწვერვალის ფერდობებზეა. თუ იერიშებს განაგრძობენ, იგი დასაწყისი იქნება უდიდესი ბრძოლისა“.

**პარიზი,** 24 თებერვალი. დღისით მოსული ცნობა. მენზონ-დე-შამპანის აღმოსავლეთით იერიში მივიტანეთ, რითაც დავიბრუნეთ 22 თებერვალს დაკარგული თხრილების ნაწილი. ამ ოპერაციის დროს ტყვედ წამოიყვანეს 85 კაცი. აქედან 3 აფიცერია. ამასთანავე დავლად დაგვრჩა ტყვიისმფრქვეველები. გერმანელებმა კონტრიერიში მოიტანეს, მაგრამ ვერას გახდნენ. არგონებში ჩვენმა არტილერიამ ცეცხლი გაუჩინა მონფოვორის რაიონის გზებს, სადაც შევნიშნეთ ავტომობილიანი ტრანსპორტები. ვერდენის რაიონში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. მთელი ღამის განმავლობაში გერმანელები საარტილერიო ცეცხლს არ სწყვეტდნენ მდ. მაასის დასავლეთით, მაგრამ ერთხელაც არ წამოსულან იერიშით. ჩვენი ქვეითი ბატარეები მარჯვედ უპასუხებდნენ ამ სექტორში ყველა მათ სროლას. ვევრში ფრიადი მკვირცხლი საარტილერიო სროლაა. ჩვენ დავუშინეთ ბლანზეს, გრინოკურს და ფრუნის მიდამოებს. მანელის რკინის გზაზე გერმანელები იერიშით წამოვიდნენ, მაგრამ ქვეითა ჯარის არტილერიამ სწრაფად შეაჩერა.

**პარიზი,** 23 თებერვალი. საღამოთი ცნობა. არგონებში ავოკურის რაიონში ჩამოვაგდეთ გერმანელთა ჰაეროპლანი. 2 მფრინავი ტყვედ წამოვიყვანეთ. მაასის დასავლეთით მთელი დღის განმავლობაში არ შეწყვეტილა დიდი ყალიბის ზარბაზნების სროლა. გერმანელებმა მოუხშირეს ქვეითი ჯარების გამოყვანა ბეტნკურისა და მაასის შუა. ეს იერიშები მოვიგერეთ. მხოლოდ ერთგან გაიმარჯვა მტერმა, კორბოს ტყეში, სადაც დამკვიდრდა კიდეც. მაასის აღმოსავლეთით მძაფრი საარტილერიო სროლის შემდეგ ოდრემონის რაიონის ტყეში გერმანელები შეიჭრნენ ფრანგთა სიმაგრეში, მაგრამ ფრანგებმა კონტრიერიშით უკანვე გაჰრეკეს. დიდი ბრძოლის შემდეგ გერმანელებმა აიღეს სოფელი ფრენი, რაიც დიდ მსხვერპლის ფასად დაუჯდათ იგი. ვოგეზებში არტილერიის ცეცხლი გავუჩინეთ დიფონბახის გასწვრივ გამაგრებულს მტრის პოზიციებს, ბიულბახის აღმოსავლეთით, აგრეთვე ატივილერის რაიონის თხრილებს.

**ლონდონი,** 24 თებერვალი. თემთა პალატა. წარმოდგენილ იქმნა საზღვაო ხარჯთ-აღრიცხვა და იმის ანგარიში თუ რა გაუკეთებია ფლოტს. გამოირკვა, რომ ფლოტს დღემდე გადაუყვანია 4 მილიონი ჯარისკაცი და 1 მილიონი ცხენი. მომხსენებელი კმაყოფილებას გამოსთქვამს, ჩვენი ფლოტი ყოვლისფრით შეიმსოო. ბოლოს იგი შეეხო გერმანელთა კრეისერს „მევეს“, რომელმაც ფერი შეიცვალა, ინგლისელთა მოდარაჯე გემებს დაუსხლტა, ოკეანეში რამდენიმე სავაჭრო გემი დაჰლუპა და მშვიდობიანად დაუბრუნდა ბაზას. გერმანეთმა ეს ამბავი დიდად იდღესასწაულაო. ეს კი მათსავე უძლურებას ნიშნავს, რომ სხვის დროშის ქვეშ გამარჯვებას ასე იკვეხიანო. ბოლოს იმედი გამოსთქვა, ეხლა უფრო, ვიდრე კვლავ როდისმე, გვმართებს იმედიანად ვუყუროთ მომავალს. ვისაც გამარჯვება არა სწამს, იგი სულმდაბალიაო.

**ბუქარესტი,** 24 თებ. პატრიოტული მანიფესტაციები იმართება, რომ გულგატეხილ მცხოვრებთა სულიერი განწყობილება აამაღლონ. ავსტრიელთა არტილერია და აფიცრობა გზას უთავაზებდა სულთანს. ყველა ეშინია რუსეთის ფრონტზე დამარცხებისა. აუარებელი არტილერია იგზავნება უკან დახეულ ჯართა მისაშველებლად, რათა როგორმე მაინც შეაჩერონ რუსეთის შემოტევა.

**კოპენჰაგენი,** 23 თებ. პორტუგალიიდან გერმანელები გადიან. მათმა კონსულმა 800 მეტი ბილეთი აიღო რკინის გზით გერმანელ ქვეშევრდომთა გამოსასტუმრებლად.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ვერდენის გარშემო.**

„ბერლინერ ტაგებლატ“-ში მორატის წერილია მოთავსებული, სადაც აღნიშნავს: ვერდენთან ბრძოლის შედეგი ის იყო, რომ გერმანელებმა შეიმატეს 360 ოთხკ. ვერსი.

ვოლფის სააგენტოს ცნობით კი ვერდენთან ბრძოლით ფრანგებმა მხოლოდ 170 ოთ. ვერსი დაჰკარგესო.

ამავე სააგენტოს ცნობით ვერდენთან გერმანელებს შედარებით ნაკლები ზარალი მოჰსვლიათ.

შესაძლებელია, გერმანელები ვერდენის სიმაგრეს ახლა სხვა მხრიდან უპირებენ შეტევას და მძიმე ზარბაზნები გადააქვთ.

**ოსმალეთის ჯარის დანაწილება.**

გერმანულ გაზეთების ცნობით, ოსმალების ჯარი ასეა დანაწილებული: ფრაქიაში სდგას 130 ათასი მეომარი, სტამბოლის მიდამოებში 65 ათასი, დასავლეთ ანატოლიაში—45 ათასი, სილისტრიაში—25 ათასი.

სირიასა, მესოპოტომიასა და კავკასიაში ამ ბოლო დროს გამოგზავნილია 65 ათასი, სირიასა და სინას ნახევარ კუნძულზე ჰყავთ—88 ათასი, სპარსეთში—20 ათასი, მესოპოტამიაში—66 ათასი, კავკასიასა და შავი ზღვის სანაპიროებში—113 ათასი, არაბეთში—25 ათასი.

**სასროლი მასალა ოსმალეთისათვის.**

„გოლუას“ ცნობით, გერმანეთი მუდამ დღე ორ მატარებელს ჰგზავნის ოსმალეთში, სასროლი მასალით დატვირთულს.

**ზავის გარშემო.**

ოსმალეთის ოფიციოზი გაზეთი „ტანინ“-ი უარჰყოფს გავრცელებულ ხმებს, ვითომც ოსმალეთს სეპარატიულ ზავზე ჩამოეგდოს ლაპარაკი. კავკასიის ასპარეზზე მომხდარი ამბები ოსმალეთს არ შეაცვლევინებს პირვანდელ გადაწყვეტილებას, რადგანაც იგი გადაჭრილ კომპენსაციას მაინც მიიღებსო.

**პუანკარე ვერდენში.**

საფრანგეთის პრეზიდენტი პუანკარე ვერდენს გაემგზავრა.

**კ. შუმსკის აზრი.**

ვერდენის ბრძოლის შესახებ კ. შუმსკი ამბობს: რა მიზანი აქვთ გერმანელებს ვერდენთან ბრძოლის დროს? აქ სულ 10 ვერსის მანძილზე მართალია თვალსაჩინო ძალა ჰყავდათ—7 კორპუსი, მაგრამ ესეც არ შეიძლება საკმარის ძალად ჩაითვალოს. ეს არის მხოლოდ 10—12 პროცენტი საფრანგეთის ასპარეზზე მყოფ გერმანელების ჯარისა, დანარჩენი 88—90 პროცენტს კი ამ ბრძოლაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. სჩანს ვერდენთან ბრძოლას მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს.

ვერდენის აღებით გერმანელებს შეუძლიანთ მხოლოდ პატარა მანძილის დაპყრობა, რომელიც პარიზს ცოტათი დაუახლოვდებოდა ე. ი. 285 ვერსის მაგიერ 270 ვერსით-ღა იქნება დაშორებული.

გერმანელებს ირგვლივ მტერი არტყია, ამის გამო მათ არ შეუძლიანთ უმოქმედოდ გაჩერება.

## უკანასკნელი ფოსტა

რუსეთის ჩრდილოეთ ასპარეზზე „რ. ინ.“-ის სიტყვით გერმანელები აამოქმედებენ თევზის მოყვანილობის ცეპელინებს. ასეთი ზე-ცეპელინები ეხლა პარიზს დასტრიალებს.

—

„პრავ. ვესტ.“—სწერს: ქერმანშაჰის უღელტეხილიდან ორი გზა მიდის ერთი სამხრეთის მხარეს—სპარსეთის სრუტისაკენ, მეორე სამხრეთ-აღმოსავლეთით—ბაღდადისაკენ. ქერმანშაჰში რუსის ჯარმა დაამარცხა გერმანელოსმალთა ჯარი, რომელშიაც ლურისტანის გუბერნატორისა და ქერმანის გენერალ-გუბერნატორის 5 ათასი მეომარი ყოფილა.

—

როგორც ვიცით, გერმანეთის მთავრობამ პორტუგალიას მოსთხოვა დატყვევებულ გემების განთავისუფლება. დღეს მიღებულის ცნობით, პორტუგალიის მთავრობამ ეს მოთხოვნილება არ დააკმაყოფილა. მოსალოდნელია, რომ გერმანეთმა პორტუგალიას ომი გამოუცხადოს.

—

გერმანელების ახალი ცეპელინების წინა ნაწილი ლითონ გადაკრულია. მათი სისწრაფე გაძლიერებულია. ცეპელინებს აქვს საგანგებო მანქანა, რომელიც ცეპელინის სრიალის დროს მის გარშემო ღრუბლებსა და ნისლს აჩენს, რის გამოც დედა მიწიდან სრულებით უჩინარია.

# ბრძოლის ველზე

„კრონპრინცის არმია მაკენზენის შაბლონით ხელმძღვანელობს“, ასე დაახასიათა პირველად „რუსკი ინვალიდმა“ გერმანელთა იერიშები ვერდენზე და ეს ფრაზა შემდეგ თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთების სამხედრო მიმომხილველებმა გაიმეორეს უცვლელად. „მაკენზენის შაბლონი!“ რა არის ეს „შაბლონი“, რად დაარქვა „რუსკი ინვალიდმა“ ასეთი სახელწოდება კრონპრინცის არმიის ლაშქრობას? პასუხი ფრიად მარტივია. ამით „რუსკი ინვალიდი“ იხსენიებს მაკენზენის ტაქტიკას. როდესაც გალიციაში შეჭრილ რუსების ფრონტი გაარღვია დუნაეცზე და მით გამარჯვება უზრუნველ ჰყო. ეს ტაქტიკა მდგომარეობს შემდეგში: მძიმე არტილერიის ქარიშხალისებური ცეცხლით სწვავს მოწინააღმდეგე ლაშქრის მთავარ ასპარეზს და საიერიშოდ წინ უშვებს რჩეულ და გამოცდილ ჯარებს. ასეთი ტაქტიკა ვერდენის წინ შეცდომად მიაჩნიათ მიმომხილველთ. აქ მძიმე არტილერიას შედარებით ვიწრო ასპარეზი აქვს და ნაყოფს ნაკლებს გამოიღებს. იმ შემთხვევაში, გინდაც ფრონტი გაარღვიონ, ნაყოფი სახარბიელო ისევ არ იქნება, როგორც დიდი ნაყოფი არ ნახეს ფრანგებმა ენკენისთვეში შამპანში შეტევის დროს, სადაც სამი დღის განმავლობაში უკანასკნელი სამი მილიონი ყუმბარა დახარჯეს, მაგრამ ფრონტის გარღვევის უმალ შეჩერებულ იქმნენ და თუ არ შეჩერდებოდნენ დიდს კატასტროფას განიცდიდნენო.

ჯერ-ჯერობით წინასწარ ამისი თქმა ძნელია, მართლა რამდენად შაბლონიურია ეს „შაბლონი“, ფაქტი კი ის არის, რომ გერმანელები წინ იწევენ, ჯერ არ ნახული ოკეანე ცეცხლის წვიმისა და მძიმე ზარბაზანთა ღრიანცელი უკანასკნელი სიტყვა არ არის მათ მხრივ. რომ, პირიქით, მათი განზრახვა ჯერ კიდევ საიდუმლოა და გენერალისიმუსი ჟოფრის სიხარული, ამ მხრივ დიდი ხანია მოველოდით და აჰა მოვესწარით კიდეცაო, მაინცა და მაინც სასიხარულოს არას ამბობს. ოფიციალ ბილიუტენებისა და ჰავასის დეპეშათა სააგენტოს ცნობებით მდგომარეობა რთულდება და საფრანგეთის ხალხიც მიტომაც ასე მჭმუნვარებს. აქ მაიორ მორატის მორიგი წერილი „Berl. Tageb.“-სი ფურცლებზე ნათელსა ჰყოფს მდგომარეობის ვითარებას. „ჩვენაო, ამბობს იგი, უკვე ხელთ ვიგდეთ 360 კვადრატიული კილომეტრიო. მაგრამაო, დასძენს მორატი, ჩვენი მთავარი მიზანია არა მშრალ ციხეების განადგურება, არამედ ცოცხალი ძალის მოსპობაო“.

მორატის ასეთს მოსაზრებას ახლა თვით ფრანგებიც ამართლებენ. იმ დროს, როდესაც გერმანელთ გააფთრებული იერიშები მიჰქონდათ აღმოსავლეთით და დუომონის ფრონტზე აპყრობდნენ ფრანგთა ყურადღებას, მეორე ფრთა დასავლეთით ცდილობდა შემოვლას. ამიტომაცაო, ვკითხულობთ დღევანდელ დეპეშებით გადმოცემულ „ჟურნალ-დე-დება“-ს სამხედრო მიმომხილველის აზრს,—ჩვენ იძულებული გავხდით ბრძოლის პირის შესასწორებლად მაასის ნაპირებზე (ე. ი. დასავლეთით) უკან დაგვეხია, რომ გერმანელები ზურგით არ მოგვქცეოდნენო. მაშასადამე, დროებითი იერიშების შეჩერება აღმოსავლეთით სრულს შენელებას არ ნიშნავდა. ფრანგთა ჯარების აქეთ მოწოლას მოჰყვა ორი გზით შეტევა, როგორც აღმოსავლეთით, ისე დასავლეთით. ეს იყო ოპერაციის ლოღიკური განვითარება. ამ ნაირათ, კრონპრინცის არმია ვერდენის ციხეს მახრჩობელა გველსავით ეხვევა, ჩრდილოეთ სექტორებში ბრძოლის შემდეგ იპყრობს დუომონ-პუადეს, აქეთ იზიდავს ფრანგთა ყურადღებას, რათა ცოცხალი ძალა მეტი გადმოაყვანინოს აქეთ, მთავარი ძალებით კი, ასე 5—6 დივიზიით, დასავლეთით უტევს ფორჟის მხრით, რომელიც, როგორც ვიცით, უკვე აღებული აქვთ და დღევანდელ ბიულეტენის მიხედვით კიდეც ავითარებენ. მათ ხელში გადასულა კორბოს ტყე, ვევსის რაიონში სოფ. ფრენი და სხვა.

ამნაირად, რამდენადაც კი შესაძლებელია მშრალ და მინიატურულ ცნობებიდან რაიმე დასკვნა გამოიტანოს ადამიანმა, ამ ახალი ოპერაციით შეიქმნა ფრიად გარდამწყვეტი დილემა, როდესაც ომის საკითხიც უნდა გადასწყდეს. ბევრს სჯერათ ის ფართო დემონსტრაციაა, მალე ჩეჩერდებიან გერმანელები და როგორც გასულ წელს, ეხლაც მთავარი ძალებით ისევ რუსეთს დასცხებენო. ის, რაც იყო შარშან, წრევანდელთან ანალოგიად არ გამოდგება, არ გამოდგება იმიტომ, რომ ორთავე მხარე მთელი თვეების ყრუ და ჩუმ მუშაობის დროს უმწვერვალესამდე მოემზადნენ. ცივ და მკვეთრ იარაღთან უნდა გადასწყდეს ცოცხალი კედლების საკითხიც: არმიის განადგურება, და მაშასადამე, ზავის ჩამოგდებაც.

გერმანელთა მხრით ამ ბრძოლაში უკანასკნელი 30 დივიზია იღებს მონაწილეობას, ე. ი. ნახევარ მილიონზე მეტი ხალხი. ამ „ცეცხლის ოკეანეში“, როგორც მშვენივრად დაახასიათეს ამას წინად დეპეშათა სააგენტოში, უთუოდ რომ ორთავე მხარეს დიდი და აუარებელი ზარალი მოსდის. მარტო ის ფაქტი, რომ დიუმონის აღებისას ფრანგების ცნობა არ გამოდგა მართალი, ვითომც უმსხვერპლოდ დაეხიოთ, ნამდვილად კი ბელონიან ციხის ნანგრევებ ქვეშ მარტო ერთი სადრაფიდან ათასი ფრანგი დაატყვევეს (კოპენჰაგენიდან მოსული ცნობა), ჰმოწმობს, რომ ნანგრევებს ბევრი უნდა ჩაემარხა. ლავა გერმანელთა ჯარისკაცებისა იცელებოდა ფრანგთა მძიმე არტილერიით. მაგრამ ეს მხოლოდ პრელიუდიაა. ნამდვილი გენერალური ომი ჯერ არ დაწყებულა. ამისი მოლოდინი აქვთ ფრანგებს და სალმრთო შიშის ჟრუანტელიც მიტომ ჰმეფობს მის მგრძნობიარე შვილთა შორის. ვერდენის ოპერაცია ავად თუ კარგად, უეჭველია, გაზაფხულისოვის დამთავრდება. თუ რომ ფრანგებმა გაიმარჯვეს, მაშინ სტრატეგთა რწმუნება, ვითომც გერმანელები შეჩერდებიან და ახლა რუსეთის ფრონტზე შეუტევენო, ტყუილი იქნება, რადგან ენერგია დაცლილ ჯარს ახლა ამისთვის აღარ ეცლებათ, ვინაიდან თვითონ მოკავშირეთა ჯარები ხელთ იგდებენ ინიციატივას და საზოგადოდ შეუტევენ. პირ იქით, თუ გაიმარჯვა გერმანეთმა, მართალია, ეს არ იქნება საბოლოო კატავასია, მაგრამ ისიც აშკარაა, ეს აუწერელი მარცხი იქნება, გათამამებულ გამარჯვებულთ ვეღარა შეიკავებს და საფრანგეთის მგრძნობიერ გულს პარიზს ლახვარს დასცხებენ, რათა თუ ყველა არა, საფრანგეთი მაინც სეპარატიულ ზავზე აიძულონ. მაგრამ ამისი შიში გენერალისიმუს ჟოფრს არა აქვს. იგი ღრმად დარწმუნებულია, რომ გერმანელთა ამ უკანასკნელი გაბრძოლებით შეუწყვეტს მოქმედებას ნერვს და მით შეჰმუსრავენ მის მძვინვარე ძლიერებას.

მეორე ხარისხოვან ფრონტის შესახებ საყურადღებო მხოლოდ რიზეს აღებაა. დეპეშა ლაკონიურად მხოლოდ ამას გადმოგვცემს, სხვაფრივ თვალსაჩინო არა მომხდარა რა.

X.

## თბილისი, 26 თებერვალი

**ჩვენი მეურნეობის გასაჭირი.** საქართველო დაუზარებლად იძლევა ყველაფერს, რასაც მისგან სახელმწიფოს დაცვის საჭიროება მოითხოვს. საკუთარი სიცოცხლე და ქონება ქართველ ერს დაუნანებლად გაუღია დღევანდელს დიდს ბრძოლაში. შორეული პოლონეთის, აღმოსავლეთი პრუსიის თუ ავსტრია-უნგრეთის მინდორ-ველი საქართველოს გმირულად დახოცილ შვილების სისხლითაც არის მორწყული. იმ ქვეყნისათვის, რომელიც მთელი საუკუნის განმავლობაში მოკლებული იყო მთავრობის ყურადღებასა, და გამოწირული შიდა გუბერნიებში შემოღებულ რეფორმებს, იმ პატარა ქვეყნისათვის, რომლის თვითმოქმედება დახშული იყო ათასგვარი განსაკუთრებული მოწერილობა-განკარგულებით, ერთობ სამძიმოა და გამანადგურებელი ასეთი მსხვერპლის გაღება. ქვეშევრდომთაგან განსაკუთრებულ მსხვერპლის მოთხოვნასთან ერთად მთავრობა ცდილობს მათ თავის დახმარებაც მიაშველოს სამეურნეო მოქმედების სფეროში. ყველაფრიდან სჩანს, რომ ეს მზრუნველობა შიდა რუსეთის სამიწადმოქმედო რაიონით იქნება შემოფარგლული. ჩვენი ქვეყანა ამის გარეშე რჩება. აუცილებელი კი იყო, რომ განსაკუთრებულად მძიმე პირობებში ჩავარდნილ განაპირა ქვეყანასაც მიქცეოდა განსაკუთრებული ყურადღება. პირველი დახმარება ჩვენი ქვეყნისათვის ის იქნებოდა, რომ მთავრობა დაერიდებოდა ისეთ მოთხოვნასა და განკარგულებას, რომელიც არღვევს და ანადგურებს უკვე არსებულ სამეურნეო საწარმოვო ძალებს.

მთავრობას აქამდის არავითარი ღონისძიება არ უხმარია არც სამელიორაციო ბანკების დაარსებით, არც კრედიტის სათანადო მოგვარებით და არც სხვა რამ გზით, რათა ჩვენი ქვეყნის მეურნეობა რაციონალ ნიადაგზე დაეყენებინა და საერთო ეკონომიურ მდგომარეობის აღორძინებისათვის ხელი შეეწყო. ჩვენი პრიმიტიული მეურნეობა პრიმიტიულ მეურნეობად დარჩა. და რომ ადგილობრივი მთავრობა საქართველოს სოფლის მეურნეობასთან კარგად იყოს გაცნობილი, იგი დაინახავდა, რომ ჩვენში ყანებზე ორთქლისა და ელექტრონის მანქანები არ მუშაობენ, იგი დაინახავდა, რომ ჩვენში ადამის დრონიდელი სახნისი და გუთანი მუშაობს, დაინახავდა, რომ ქართულ გუთანს რვა უღელი ხარი სჭირდება, რომ ჩვენში ყანის დასამუშავებლად ცხენის ძალას ვერ იყენებენ და რომ ქართველი ქალებიც ყანებში ვერ მუშაობენ, დაინახავდა ყველა ამას და მაშინ მიხვდებოდა, რომ მუშა ხარების რეკვიზიცია და გაჰკრეფა ქართულ სოფლებიდან ნამდვილი დასამარება იქნებოდა ჩვენი სასოფლო მეურნეობისა, რომელმაც უკანასკნელი წლების განმავლობაში საშინელი განსაცდელი გამოიარა, ბუნებისა და კაცთა შეთანხმებული საერთო იერიშის სახით მოვლინებული. მაშინ, როდესაც ჯარის ზურგის გამაგრება სახელმძღვანელო დებულებად არის აღიარებული და მიწადმოქმედების მინისტრი სხვა და სხვა ღონისძიებას დაეძებს ყანების სივრცის გასაფართოვებლად, განა ახირებულად და გაუგებრად არ უნდა ჩაითვალოს ისეთი განკარგულება, რომლის ძალით საქართველოს სოფლებიდან მუშა ხარები დასაკლავად უნდა გაიყვანონ და ამით უკანასკნელი ბურჯი გამოაცალონ ჩვენს სოფლის მეურნეს, რომელიც უამისოდაც დაზარალებულია და ქრონიკულ სიმშილს განიცდის. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ადგილობრივი მთავრობა, რა გაეცნობა ქართული სოფლის მეურნეობის სპეციფიურ მდგომარეობას, დაერიდება ისეთ განკარგულებებს, რომელთა აღსრულებაში მოყვანა ჩვენი სოფლის მეურნეობის ნამდვილი წესის აგება იქნება.

## პრესის მაგიერ

„სახალხო ფურცელს“ მოჰყავს პროფესორ ეგიაზაროვის წერილი თბილისის საქალაქო არჩევნების შესახებ და ამ საკითხს გაზეთი თავის მხრითაც უძღვნის.

პროფესორი ეგიაზაროვი ჩვენი გაზეთის მიერ წამოყენებულ მოთხოვნილებას, რომ ქართველებს თბილისის თვითმმართველობაში ამომრჩეველთა რიცხვის შესაფერისი ადგილი მიენიჭოს, სამართლიანად აღიარებს. რასაკვირველია, დიდი გაბედულება იქმნებოდა, რომ პატივცემულ პროფესორს მტკიცება დაეწყო, საქართველოს დედა ქალაქში ქართველებს იმდენ ხმოსანიც ნუ ეყოლებათ, რამდენიც მათ ამომრჩეველთა რიცხვს შეეფერებაო.

როდესაც თბილისის საქალაქო არჩევნებში პროპორციული საფუძველი წამოვაყენეთ, ჩვენ ამით ქართველობისთვისაც ისეთივე უფლებებს მოვითხოვთ, რომლითაც საქართველოს დედა ქალაქში შემოხიზნული ელემენტებიც აღჭურვილი იქნებიან. პროპორციული არჩევნები ჩვენს დედა ქალაქში ჩვენი რეალი ინტერესებისა და ეროვნული თავმოყვარეობის შესაფერ ძალას ვერ მოგვანიჭებს.

ქართველობა თბილისის თვითმართველობაში მაინც დიდ უმცირესობაში დარჩება. მიუხედავად ამისა, ჩვენ ასეთს არჩევნებს მოვითხოვთ, რომ ამით ჩვენი მდგომარეობა თბილისის თვითმართველობაში ოდნავად მაინც შევცვალოთ.

„სახალხო ფურცელი“ ჩვენს პოზიციას არ იზიარებს. მიზეზი? განა იმიტომ, რომ იმათ არ აკმაყოფილებს ჩვენი მოთხოვნანი და თბილისში გაბატონებულ სომხობისგან კიდევ მეტს მოითხოვენ? სრულებითაც არა. არ გვიჭერენ მხარს იმ მოსაზრებით, რომ პროპორციული სისტემა რუსეთში სტოლიპინმა შემოიღოვო. თუმცა ეგიაზაროვი მათ უმტკიცებს, რომ ასეთი სისტემა ევროპის სახელმწიფოში თითქმის ყველგანაა გატარებულიო, მაგრამ ეს მათ უმნიშვნელოდ მიაჩნიათ. სტოლიპინი თუ პოლონეთში რუსებისთვის ანხორციელებდა ამ პრინციპს, როგორ შეიძლება რომ ის ჩვენთვის მისაღები იყოს.

„სახალხოს“ სრულებით არ აინტერესებს, თუ რამდენათ სამართლიანია თვით პრინციპი, ან ქართველობისთვის რამდენათ ხელსაყრელი იქნება მისი განხორციელება მისთვის საკმარისია, რომ პროპორციული არჩევნები სტოლიპინმა მოითხოვა რუსებისთვის და ჩვენში კი „საქართველომ“ წამოაყენა და არა „სახალხო ფურცელმა“.

კიდევ უფრო უცნაურია მეორე მოსაზრება, რომელსაც „სახალხო“ იხმარს ჩვენს წინააღმდეგ.

ჩაგვრა არ მოისპობა თუ ჩაგვრა უმრავლესობის ბატონობის შედეგიაო.

განა ქართველების რეალური ინტერესებისთვის, თავმოყვარეობა რომ სავსებით დავკარგოთ, ერთგვარი „ჩაგვრა“ იქმნება — თვითმართველობაში სულ არ იქმნება ქართველების ჭაჭანება, თუ მას მთელი ხმოსანთა მეოთხედი ნაწილი ეყოლება?

სასაცილოა, სხვა რომ არა იყოს, „სახალხოს“ სურვილი, რომ ქალაქის თვითმართველობა სამეურნეო ორგანიზაციაა და იქ ეროვნული შეჯიბრება არ უნდა იყოსო. კარგია, რომ „ჩაგვრა“ ქვეყნად არ იყოს, მაგრამ ის ქვეყნად არსებობს და „სახალხო“-ელთა კრავული სულის პატრონთ უწყალოთ ჰკრეჭდენ, თუმცა ამას ისინი ხშირად ვერც კი ჰგრძნობდენ.

## სომხური პრესა

გასაოცარი წარმოდგენა გამოიჩინა „ჰორიზონმა“: მისი წარმომადგენლები და კორესპონდენტები კონგრესებზე ესწრებიან, ნახულობენ სახელმწიფოების მაღალხარისხოვან დელეგატებს, ფრიად სარწმუნო წყაროებიდან ჰკრეფენ ცნობებს და სხვა და სხვა.

ყველა ეს ნამდვილი სასწაულია სომხური პრესის წარმატების საქმეში.

მაგრამ, დახეთ, თუ რამდენი გაბედულება შესწევს ამ სასწაულთ მომქმედ „ჰორიზონ“-ს!.. იგი არ ერიდება სრულიად უცნობ საგნებზე წერას.

„ჰორიზონ“-ს აფხაზეთში საპატიო კორესპონდენტი არა ჰყავს.

ეს ძალიან ცხადია ჩემთვის; გაზეთი ამ მხარეს მხოლოდ იმით იცნობს რომ იქ თამბაქოს მოყვანით საკმაო დიდი რიცხვი ოსმალეთის სომხობა იკვებება.

მაგრამ ყველა ეს როდი უშლის ხელს, რომ „ჰორიზონმა“ პოლემიკა გამართოს ქართველ შოვინისტებთან, და მისთვის უცნობ აფხაზეთს და მის მკვიდრთ უწოდოს „ზარმაცები და ავაზაკები“.

რომ „ჰორიზონ“-ს რამე გაეგებოდეს აფხაზეთისა, ეცოდინებოდა, რომ ამ ქვეყანაში ამ ბოლო ხანებში საინტერესო კულტურული მუშაობა დაიწყო და რომ ამ ასპარეზზე აფხაზეთის წიაღიდან გამოსული ინტელიგენტური ძალები გასაოცარის წარმატებით იღვწიან.

სულ მოკლე ხანში მათ მშვენივრად შეისწავლეს და გამოიკვლიეს თავიანთი ენა, შეჰკრიბეს ხალხური ანდაზები, ზღაპრები და მითები.

იკვლევენ თავიანთ ისტორიას, აგროვებენ სიძველის ნიმუშებს და სხვა და სხვა.

ხსენებულ დარგებში მათ უკვე მოგვცეს იმგვარი ენერგიული და მომზადებული ძალები (ჯანაშია, ჭარაია), რომლებმაც დაიმსახურეს პროფესორ ნ. მარრის საჯაროდ გამოცხადებული მადლობა და აღტაცება.

დასასრულ იმის შესახებ, რომ სომეხთა მიმართ აფხაზეთის ხალხს არასოდეს არ გამოუჩენია მტრული დამოკიდებულება, არამედ უცქეროდა მათ, როგორც ნიჭიერს, შრომის მოყვარულსა და სასარგებლო მეზობელს.

ჯერ კიდევ 1904 წელს აფხაზეთის ხალხის შვილი ცნობილი შარვაშიძე გამოვიდა დამცველად კოლონისტ სომხებისა, ფრთა შესხმული რეაქციონული ელემენტების წინააღმდეგ.

ჰორიზონისა და ქართველ შოვინისტთაგან ატეხილ აურ-ზაურსაც აფხაზეთის ხალხმა შესამჩნევი პასუხი მისცა.

ჯერ ერთმა მათმა ღვიძლმა და ჰკვიანმა შვილთაგანმა დაახლოებით შემდეგი კითხვა მისცა მათ: ნუ თუ სომეხთა აზროვნებამ მეტი ინტელიგენტური შეხედულება ვერ გამოიჩინა მთელი ერის მიმართ.

ხოლო ქართველ შოვინისტებს აფხაზეთის ხალხი დიდი ხნიდან იცნობდა. ამ ჟამად მხოლოდ სარკასტიული ღიმილი იყო მათი პასუხი.

# სოფლად

„დავდივარ სოფლად, ველად გაჭრილი ‍ ვიკვლევ ობლად მიტოვებულსა სოფელსა ოხრად“.

**სამამასახლისოების შეჯგუფება.—მოხელეების მოქმედება და მათი დახასიათება.—ეკლესიები.—გლეხების ზნეობრივი და ფიზიკური დაცემა.—სკოლები.—ჟურნალ-გაზეთების გავრცელება.—სიძვირესთან ბრძოლა.—გომის აღებ-მიცემობა.**

(დასასრული. იხ. „საქ.“ № 43)

ათს თებერვალს ავლევის სამეურნეო ამხანაგობის პირველი კრება მოხდა. კრებას ბლომად დაესწრო ხალხი. 156 წევრი ჩაეწერა, მათ შორის 15-მდის თავად-აზნ. არიან.

კრებამ დაადგინა: ნისია უსარგებლოდ მიეცეს ერთი თვით, თუ ამ ერთ თვის განმავლობაში ნისიას ვერ გადაიხდის წევრი, მაშინ ექვსი თვის განმავლობაში შეაქვს თამასუქი და სარგებლით იხდის ნისიას.

საქონელი არსებულ მაზანდაზე ეძლევა წევრებს, გარეშე პირებს-კი მანეთზე შაურით მეტად.

ამ კოოპერატიული დუქნის მიზანია, რომ საქონელი მიაწოდოს თავის წევრებს იაფად და მასთანვე დანარჩენ დუქნებსაც ფასი დააწევინოს.

კრებამ მიანდო გამგეობას 12,000 მანეთის საქონლის მოტანა.

ამ თავითვე თანხა შედგა ავლევის ბანკის საშუალებით 8,000 მანეთამდის.

კრებამ მართვა - გამგეობისთვის ამოირჩია შემდეგი პირები: საპატიო თავმჯდომარეთ თ-დი კ. მ. ამირეჯიბი. გამგეობის თავმჯდომარედ ანტონ ფალავანდიშვილი, იგივე მოლარე და მის ამხანაგად დუშიკო ფალავანდიშვილი გამგეობის წევრებად: იასონ გამდლიშვილი, იგივე მოანგარიშე, ვასილ ჟღენტი, იგივე დახლიდარი და არჩილ ჯახველაძე. ზედამხედველი კომიტეტის თავმჯდომარე: მღვ. ზ. ხვადაგაძე, მის ამხანაგად საშიკო ფალავანდიშვილი. კომიტეტის წევრნი: მიშა ბაქრაძე, გლახო ბადრიაშვილი და სანდრო ჯოლერდიანი. წევრების კანდიდატებად: დათა ჯახველაძე და ლუარსაბ დონაძე.

კრება სიამოვნებით და მომავლის იმედით დაიშალა.

მედუქნეებს ეს ამბავი არაფრათ ეჭაშნიკათ.

გომში დაარსდა კოოპერატიული თორნე, ჩაეწერა 27 წევრი, საწევრო გადასახადია—8 მან. შესასვლელიც—1 მან. 19 იანვარს დაიწყო მოქმედება, უკვე კარგათ მიდის საქმე, პური პირველ ხარისხისა ცხვება და გირვანქაც ამ თავით 7 კაპეიკია. ნახეს რომ მოგება რჩება, აპირებენ ფასის დაკლებას.

გომის სინდიკატიც ხელს უწყობს სიძვირესთან ბრძოლას, ისევ ამას შეუძლიან შეებრძოლოს მოვახშე მედუქნეებს და ფასის დაწესებაც იმის საქმეა.

**გორის რაიონის აღებ-მიცემობა.**

თბილისის ზევით, გარდა გორისა, ვიდრე შორაპნამდის, გომის სადგურიდან ყველაზედ მომეტებული საქონელი გადის.

ჭირნახული, ბზე, თივა, შეშა, ხეტყე, შპალი, კირი და სხვა წვრილი საქონელი რკინის გზით გააქვთ 2,600,000-დან 3,000,000-მდის.

მარტო გომის ვაჭრები ჭირნახულს გზავნიან რკინის გზით: სინდიკატი—150,000 ფუთს—გოკიელოვის ამხანაგობა—150,000 ფ., კაკაბაძე—120,000 ფ., ბზეს—400,000 თივას—30,000, შეშას—300,000, კირს—100,000.

ბოჭკის ფიცარი გადის ნახევარ მილიონი ცალი.

შპალი გადის—200,000 ცალი.

გარეშე ვაჭრებიც ფრონის ხეობებიდან გზავნიან—600,000 ფ. ჭირნახულს.

გომში არის სამი სავაჭრო სახლი: სინდიკატი, გოკიელოვისა და კაკაბაძესი. დუქნებია—6, სამიკიტნოა—6, მეწაღე—2, ხარაზი—5, დერციკი—3 და სადალაქო—1.

საყასბო იძლევა ყოველ წლივ 200 მან. და ეს ფული გადადებულია სკოლის სასარგებლოდ, რომელიც დაკეტილია.

ერთი აფთიაქიც 3,000 მანეთისას ვაჭრობს.

სამჭედლო—3, სამექანიკო და სახელოსნო—1 და სადურგლოც—1.

თორნე ორია—ერთი კოოპერატიული და მეორე კი კერძოა.

ამათ გარდა ფრონეს ხეობაში, გარდა ალის ხეობისა სხვა და სხვა სოფლებშია გაფანტული სულ 31 დუქანი, ამათში სამი—სომხისა, შვიდი—ოსისა, დანარჩენი კი ქართველებისა და მათ წლიურ აღებ-მიცემობას შეადგენს, ერთი-ერთმანეთზედ რომ ვიანგარიშოთ, არა ნაკლებ 100,000 მან. და რაც შეეხება მთელი გომის რაიონის აღებ-მიცემობას, მცხოვრებლების მიხედვით რომ ვიანგარიშოთ ხუთის საზოგადოებისა, ალისა, აბისისა, ატოცისა, ოქონისა და დირბისა შეადგენს 3690 კომლსა, ამათ გომის სადგურიდან გააქვთ სოფლის ნაწარმოები, ამათ გარდა ხწისის საზოგადოებიდან ნახევარი გომზედ მიდის და ნახევარი ხაშურზედ, ე. ი., 420 კომლი მცხოვრები გომზედ გზავნის; წნორის და ყორანის საზოგადოებიდანაც ერთი მეოთხედი გომზედ წამოვა, რომელიც შეადგენს არა ნაკლებ 340 კომლისა, დანარჩენი 954 კომლი ცხინვალზედ გზავნის თავის ნაწარმოებს.

სულ ერთიანად შეადგენს 4,450 კომლს, რომელთაც გომის სადგურიდან გააქვთ თავიანთი ნაწარმოები, ამათში არ შედიან თავად-აზნაურნი.

მაინცა და მაინც ნამუშევარი სულ გლეხებისაა, თითო ოროლა თავად-აზნაურნი თუ გამოირჩევა, რომელიც თავის საკუთარის ხელით მუშაობდეს.

მაშასადამე 3.000,000 ფუთი სოფლის ნაწარმოები 4,450 კომლს ზედმეტი მოჰყავს, ე. ი., თითო კომლი ინარჩუნებს გასაყიდათ 600—700 ფუთს ყოველნაირ სოფლის ნაწარმოებს!

3.000,000 ფუთი სოფლის ნაწარმოები შეიძლება სამ ნაწილად გავყოთ: პირველ ნაწილში მოექცევა ჭირნახული, რომელიც აღწევს 1,000,000 ფუთსა, მეორე ნაწილში — შეშა, თივა, ბზე, კირი და წვრილი საქონელიც ერთ მილიონამდის მიახწევს, და მესამე ნაწილშიაც მოექცევა ბოჩკის ფიცარი და შპალი *), რომელიც უდრის ერთ მილიონ ფუთს, ცოტა მეტსა.

მუშა ხელს რჩება თითო ფუთს შპალზედ—მოჭრა, გათლა, დამზადება და ჩატანა გომის სადგურზედ—15 კ.

მარტო ბოჩკის ფიცრის ჩატანაში ტყიდან გომის სადგურზედ თითო ცალში—1 კაპ. იღებენ. დამზადებით გურულები ამზადებენ.

თითო საჟენი შეშა ჩააქვთ მოჭრით და დადგმით—18—20 მან. ერთი საჟენი შეშა იწონის 360—400 ფუთამდის, მაშასადამე მუშას რჩება შეშის მოჭრაზედ, ჩატანაზედ და დადგმაზედ ფუთზედ ერთი შაური! აქ კი შრომის ხელფასი მინიმუმამდისაა დასული და შეშის ვაჭრები ბოროტად ხმარობენ მის გაჭირვებულ მდგომარეობას.

ბზეზედ რჩებათ ფუთზედ—15 კაპ. თივაზედ—15 კაპ. კირზედ—10 კაპ. ჭირნახულზედ კი დამოკიდებულია მაზანდაზედ.

ასე რომ მშრალი საქონელიდან მუშა ხელს გამორჩენა აქვს შეშიდან—15,000 მან. შპალიდან—150,000 მან. ბოჩკის ფიცრიდან—50,000 მან. ბზიდან—60,000 მან. კირიდან—10,000 მან. თივიდან—4,500 მან. დანარჩენი საქონელიდანაც იქნება—18,500 მან. მაშასადამე მთელს ჯამს შეადგენს—308,000 მან. და თითო კომლზედ, რომ ვიანგარიშოთ ერთი-ერთმანეთზედ, მშრალი საქონელიდან რჩება ყოველ წლივ—69 მან.

ჭირნახულზედ თუ ვიანგარიშებთ ორთა შუა რიცხვით ფუთზედ—60 კაპ. და მამულის პატრონსაც აქედან მივცემთ მეოთხედს, შეადგენს არა ნაკლებ—450,000 მანეთისა, რომელიც რჩება თითო კომლის—111 მან.

მაშასადამე ყოველწლივ თითო კომლი ინარჩუნებს ზედ მეტსა—180 მან.

ეს არის მისი გადასახადები: ერის, ბერის,—შესამოსი, ნავთი, მარილი, საპონი, ინვენტარი, სარგებელი ვალისა, ჭირი და ლხინი.

რასაკვირველია მას ეს არ ჰყოფნის, ოჯახის წევრი მიდის სამოჯამაგიროდ, ეძებს გარეთ სამუშაოს, მიდის ბაქოში, ჭიათურაში, სუხუმისკენ, ალავერდში—სპილენძის მადნებში სამუშაოდ, რკინის გზებზედ და ამ რიგად თავის ოჯახის ნაკლებულობას ავსებს შორიდან გამოგზავნილ ხელფასით.

ეს გამოკვლევა შეეხება წინანდელს წლებს, ვიდრე ომი დაიწყებოდა. შარშან, ყველას მოეხსენება, საერთო მოუსავლობა ჩვენს ქვეყანაში, მიუხედავად ამისა, მაინც ჩვენი მხრიდან გომის სადგურიდან გავიდა 500—600 ათასი ფუთი ჭირნახული, ბზე, თივა—300—400 ათასი ფუთი. ხე-ტყე—შეშა, შპალი—200,000 ფუთი და სხვა წვრილი საქონელი 70—80 ათასი ფუთი.

Legatus.

ბოჩკის ფიცარი თითო ცალი იწონს—4—5 გირ. შპალი თითო ცალი იწონს—5 ფუთსა.

ყველა ამის შემდეგ დაგვრჩენია შეკითხვა მივსცეთ ჰორიზონს, თუ რამ აიძულა იგი მთელს ერს მიაკუთვნოს „ზარმაცისა და ავაზაკის მიმდევარის“ ეპითეთები.

შემდეგ გაზეთი ეხება ჰორიზონის ყოველგვარ მართებულობას მოკლებულ ბრალდებას თურქ-ოსმალთა მიმართ და დასძენს, რომ მხოლოდ შოვინისტურ სიბრმავესა და ჰორიზონის არაკეთილსინიდისიერებას უნდა მიეწეროს ის, რომ მას გამოყავს დამნაშავედ არა მტარვალი ოსმალეთის რეჟიმი, არამედ საწყალი ოსმალოს ხალხი, რომელიც სხვა ხალხების მასსებთან ერთად ერთს ტაფაში იწვის. სომხის ერი ვალდებულია დღეს მაინც წარმოშვას თავის წიაღში ნამდვილი და მიუდგომელი ხალხის ერის წინამძღომელნიო, ასე ათავებს თავის წერილს ავტორი.

# დეპეშები

(„საქართველო“-ს საკუთარის კორესპონდენტებისაგან).

**გერმანელები განაგრძობენ ორპირ შემოტევას ვერდენის აღმოსავლეთით და დასავლეთით. „ფოსიშე ცაიტუნგში“ ცნობილი სამხედრო მიმომხილველი ბერნგრადი სწერს. გერმანელებს სრული იმედი უნდა ჰქონდეთ თავიანთ შტაბისა, რომელიც არავითარ ოპერაციას არ მოჰკიდებს ხელს თუ აწონილ-დაწონილი არა აქვსო.**

—

**ავსტრიელები ირწმუნებიან, ჩვენს არმიას უკვე ორმიცი ათასი ალბანელი შემოუერთდაო.**

—

**გაიხსნა ლიტველთა ყრილობა ომში დაღუპულთა დამხმარებელ ორგანიზაციის წევრებისა.**

გ. ვ.

# ახალი ამბავი

**კარლო ჩხეიძეს ავადმყოფობა.** პეტროგრადიდან სასიამოვნო ცნობა მოვიდა: კარლო ჩხეიძე უკეთ არის. სრული იმედია, რომ სავსებით განიკურნება.

**შიო მღვიმელის დილის** მთელი შემოსავალი უდრის 2,396 მან. და 6 კ. ხოლო ხარჯი—919 მან. და 26 კაპ. წმინდა შემოსავალი—1,476 მან. და 80 კ. აქედან შიოს უკვე გადაეცა 476 მან. 80 კაპ., ხოლო 1,000 მან. შეტანილია ბანკში დილის გამმართველ კომისიის ხაზინადრის სახელზე და კომისიის დადგენილებით ამ ფულს არა მოაკლდება-რა, ვიდრე არ გამოირკვევა ქუთაისში და ბაქოში განზრახულ დღესასწაულის შემოსავლიანობა. კომისიას აზრადა აქვს საერთო შემოსავლით წიგნის მაღაზია გაუღოს „ძია შიოს“. გარდა ზემო აღნიშნულ თანხისა, მოსალოდნელია კიდევ შემოსავალი (საპატიო ბილეთების ფასი ჯერ ყველას არ გამოუგზავნია) და წვრილმანი ხარჯიც, ისე რომ, ვარაუდით, შენახულ თანხას კიდევ 200—300 მანეთი მიემატება ამ დღეებში. დაწვრილებითი ანგარიშიც მაშინ დაბეჭდება გაზეთებში.

**კოოპერატივთა კავშირის გარშემო.** ამიერ კავკასიის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირის საორგანიზაციო ბიურომ წინადადებით მიმართა მომხმარებელ საზოგადოებას „მეურნე“-ს ისიც ჩაეწეროს კავშირში წევრად. „მეურნის“ გამგეობას დაუდგენია მოიწვიოს საგანგებო საზოგადო კრება ამ წინადადების განსახილველად.

**ქართული ენა.** როგორც სარწმუნოდ ამბობენ, საქართველოს ექსარხოსი პლატონი ბრძანებას გამოსცემს ამ დღეებში, რომ სამრევლო სკოლებში სამღვთო სჯული ქართულს ენაზე ასწავლონ.

**აბრეშუმის თესლი.** მიწადმოქმედების დეპარტამენტმა ბლომად დაურიგა ევროპიული აბრეშუმის თესლი თბილისის სააბრეშუმე სადგურს, კავკასიის მეაბრეშუმეთა საზოგადოებას და ქუთაისის სააბრეშუმო პუნქტს. 1 მისხალი თესლი 2 აბაზად იყიდება.

**მეაბრეშუმეთა საზოგადოება.** ამ დღეებში კრება ექნებათ კავკასიის მეაბრეშუმეთა საზოგადოების წევრთ. კრებას დაესწრება მიწადმოქმედების დეპარტამენტის მიერ გამოგზავნილი უფროსი სპეციალისტი ა. ი. ბეგრაბოვი. დღემდის საჭირო აბრეშუმის თესლის 80 პროცენტი ბაღდადიდან (ოსმალეთი) შემოჰქონდათ. ეხლანდელ კრებას აზრად აქვს მოაწესრიგოს საქმე, რომ საჭირო თესლი ადგილობრივ მზადდებოდეს. მეაბრეშუმეთეთვის, რომელნიც კარგ თესლს დაამზადებენ, **საზოგადოება სუბსიდიის გამოთხოვნას აპირებს მთავრობისაგან.**

**სასულიერო კონცერტი.** ბ-ნი ია კარგარეთელი ამ დღეებში „ახალ კლუბი“-ს დარბაზში გამართავს ქართულ სასულიერო კონცერტს, რომლის წმინდა შემოსავალი გადაიდება სასულიერო სემინარიის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ.

**თანხის გადადება.** საქართველოს საეპარქიო სასკოლო საბჭოს დაენიშნა საერობო თანხიდან ყოველ წლიურად 10,000 მანეთი აღნიშნულ სკოლების გასაუმჯობესებლად. ფულს მიიღებს საბჭო 1914 წლიდან.

**თაფლის სანთელი.** რუსეთში დამზადებული თაფლის სანთელი საკმარისი არ იყო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად და დიდძალი მასალა სანთლისა საზღვარ გარეთიდან, განსაკუთრებით გერმანიიდან, შემოჰქონდათ. ამ ომიანობის დროს საზღვარგარეთიდან საქონლის შემოტანაზე ლაპარაკიც ზედმეტია, ხოლო საჭიროება-კი თავისას არ იშლის. ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ გაჭირვებას განიცდის სასულიერო უწყება, რომელსაც დიდძალი წმინდა სანთელი სჭირდება. ამის გამო უწ. სინოდს ბლომა ფული გადაუდვია მეფუტკრეობის გასავრცელებლად რუსეთის სხვა და სხვა ადგილას და მეფუტკრეობის სკოლების დასაარსებლათ. ამ დღეებში კრება ექნება კავკასიის მეფუტკრეთა საზოგადოებას, რომელიც შეეცდება გამოარკვიოს საკითხი მეფუტკრეობის გავრცელების შესახებ ჩვენში. ამავე კრებას თათბირი ექნება შესახებ იმისა, რომ მოაწესრიგოს თაფლის სანთლის ყიდვა სანთლის ქარხნებისათვის.

**სომეხთა** ცნობილი მწერალი ს. თარიანი, რომელიც ფილტვების სისუსტით არის ავად, უკეთ გახდა, სომხურ პერიოდულ გამოცემათა რედაქციებმა ფულები შეუგროვეს მას და აბასთუმანში გზავნიან.

**სახალხო ლექციები.** წერა-კითხვის საზოგადოებასთან არსებული სახალხო კითხვების მომწყობი სექცია მომავალი ორშაბათიდან (29 თებერვალი) აპირებს მოაწყოს დიდუბის სამრევლო სკოლის დარბაზში სახალხო ლექციები. შინაარსი ლექციებისა იქნება საქართველოს ლიტერატურა და ისტორია.

**ამერიკულ ვაზის გაშენება.** მიწად მოქმედების დეპარტამენტმა 500 მანეთი მისცა თბილისის გუბერნიის მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტს ჩუმლაყის სანერგის ხარჯების ერთი ნაწილის დასაფარავად. ეხლა კიდევ დეპარტამენტს 1,000 მანეთი გადაუდვია იმავე სანერგეში 150,000 ცალი ნამყენ ვაზის დასამზადებლად.

**დიდი სახალხო კონცერტები.** როგორც დანამდვილებით გავიგეთ, მიხეილ კავსაძეს განზრახვა აქვს გამართოს რამდენიმე გუნდების მონაწილეობით დიდი სახალხო კონცერტები, სახალხო სახლში და ახალ კლუბის სათეატრო დარბაზში. კონცერტების პროგრამაში შევლენ განსაკუთრებით ხალხური მშობლიური კილოები, გადაღებულნი ძველ ქართველ მუსიკოსებისმიერ, აგრეთვე ერთ განყოფილებაში წმინდა ევროპიულიც,—შემოღებული ერთ დროს რატილის-მიერ. მოწყობილი იქნება აგრეთვე სცენები სიმღერაფანდურ-თამაშით სოფლის ცხოვრებიდამ.—ამ კონცერტებში მონაწილეობას მიიღებს 70 კაცი და აგრეთვე გუნდის საუკეთესო ძალები: ჯანდიერი, ძმ. კავსაძენი, სალირაშვილი, უსტიაშვილი, დედანაშვილი, ბეჟანიშვილი და სხვანი. კონცერტების წმიდა შემოსავლის ნაწილი გადაიდება საქველმოქმედო მიზნისთვის, დანარჩენი გუნდის ფონდის გასაძლიერებლად.—ამავე მიზნით აღდგომის კვირაში გუნდის ნაწილი გაემგზავრება დასავლეთ საქართველოში. მთელი გუნდი გამოწყობილი იქნება ქართულ ტანისამოსში ქულაჯებით, ჩოხებით და გლეხურად. იმედია საზოგადოება ამ კონცერტებზედ დაესწრობა, რათა გუნდის გამგეებს საშუალება ჰქონდეთ უკეთესად მოაწყონ შემდეგისათვის ეს საქმე.

**ახალი მომხმარებელი საზოგადოება.** ქუთაისში დაარსებულა მომხმარებელი საზოგადოება „მომავალი“, რომელსაც ბევრი სხვა აგრეთვე ამხანაგობანიც უერთდებიან კავშირის შესაკრავად.

**შემოიტანეს** თბილისში 24 თებერვალს: ფქვილი 13 ვაგ., შაქარი 6 ვაგ., ბრინჯი 2 ვაგ., მარილი 2 ვაგ., შეშა 13 ვაგონი.

**აზრუმიდან** დაბრუნდენ თბილისში თბილისის გამგეობის წევრი ა. მ. არღუთინსკი, საბჭოს ხმოსანი ხუნუნცი და ექიმი მინასიანცი. როგორც ესენი ამბობენ, აზრუმში ამ ჟამად იმყოფება 90-დე სომეხი და 25,000-დე ოსმალო. **სარიყამიშიდან დახევის დროს ოსმალებს დიდი ნაწილი სომხობისა მესოპოტამიაში გადაუსახლებიათ.**

**ვაზის წამალი.** თელავის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობას მოსკოვის სახალხო ბანკის შუამდგომლობით 12.000 ფუთი შაბიამანი ჰქონდა ინგლისიდან გამოწერილი თავის წევრებისათვის. შაბიამანი გამოუგზავნიათ ინგლისიდან, მაგრამ გემი, რომელსაც ეს საქონელი მოჰქონდა, არხანგელსკის მახლობლად გაყინულა. ეხლა აღნიშნულ ამხანაგობის თავმჯდომარე ბ-ნი ლუკაშვილი არხანგელსკში მიემგზავრება, რათა ღონისძიება მიიღოს შაბიამანის გადმოსატანად ხმელეთზე. ფრიდლონოვის სავაჭრო სახლი, პირობის თანახმად, 2,000 ფუთი შაბამანს უგზავნის ქუთაისის გუბერნიის მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტს.

**ამერიკულ ვაზის სანერგეები.** მიწად-მოქმედების დეპარტამენტმა დაამტკიცა მევენახეობა-მეღვინეობის მიერ შემუშავებული მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა. აღაიანისა, კონდოლისა და ჩუმლაყის ამერიკულ ვაზის სანერგეები. ამ ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით აღაიანის სანერგეს შემოსავალი ნავარაუდევია 3.370 მან., გასავალი კი 5.330 მან., კონდოლის სანერგეს შემოსავალი 2.005 მან., გასავალი 9.077 მანეთი, ჩუმლაყის სანერგეს გასავალი 3.135 მან. ზედმეტი ხარჯები სამივე სანერგესი დეპარტამენტმა თითონვე იკისრა: აღაიანის სანერგესი 1.960 მან., კონდოლისა 7.027 მან. ჩუმლაყისა 3.135 მან.

**ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების** საკოოპერაციო სექციას კრება ჰქონდა 24 ამა თვეს და დაადგინა თითონაც ჩაეწეროს ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირში და სხვა ქართულ კოოპერატივებსაც ურჩიოს წევრად ჩაწერა. სექციას დღეს, საღამოს 7 საათზე, კიდევ ექნება კრება. განსახილველია 1915 წლის სექციის მოქმედების ანგარიში, მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვის შემუშავება და სექციის პრეზიდიუმის არჩევა.

ზუგდიდი.

კვირას, 14 თებერვალს, დ. ზუგდიდში აკურთხეს ახლად აშენებული ეკლესია. კურთხევას დაესწრო ეპისკოპოზი გურია-სამეგრელოსი ლეონიდე, თ-დი ჯამსუხ დადიშქელიანი, მოელოდნენ აგრეთვე ქუთაისის გუბერნატორს, მაგრამ იგი რაღაცა მიზეზების გამო ვერ ჩამობრძანდა.

რედაქციამ მიიღო ოცი მანეთი აგარაკის სასარგებლოდ, შილდას საკრედიტო ამხანაგობისაგან.

—

**შეცდომის გასწორება**

გუშინდელ გაზ. „საქართველოში“ (№ 43, გვ. 3, სვეტ. 4). დეპ. კორ. კეკელიძის წერილში, სტამბას შეპარვია ერთი არა სასიამოვნო შეცდომა, რომელიც ჩვენც ვერ შევნიშნავს: დაბეჭდილია: **სად არის პიტირიმი?** უნდა იყოს **სად არის პრინციპი?**

# შაბიამანის დამზადება

**სარწმუნოდ შევიძლიან გამოვაცხადოთ, რომ თბილისის გუბერნიის მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტის მეცადინეობით, მეფის ნაცვალმა ნება დართო ალავერდის სპილენძის ქარხანას დაამზადოს ვენახების წამლად 30 ათასი ფუთი შაბიამანი. ეს განკარგულება უკვე ეცნობა ყველა დაწესებულებას, რომელთაც სამთამადნო მუშაობასთან რაიმე ოფიციალი დამოკიდებულება აქვს. ამ დღეებში აღნიშნულ კომიტეტის მდივანი ვ. ი. რცხილაძე ალავერდში წავა და სპილენძის ქარხნის ადმინისტრაციას საჭირო პირობებს დაუდებს. ამ პირობებში 3 უმთავრესი მუხლი იქნება შეტანილი: 1) ქარხანას, გარდა თბილისის გუბერნიის მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტისა, არავისთან, არც კერძო კაცთან და არც დაწესებულებასთან, არავითარი დამოკიდებულება არ ექნება ამ საქმის შესახებ; მთელი დამზადებული შაბიამანი კომიტეტს უნდა გადმოსცეს; 2) ფასი შაბიამანის ფუთზე და 3) რა და რა დროს რამდენი შაბიამანი უნდა იქნას დამზადებული.**

# შიო მღვიმელი და ქართული სკოლა

ქართველმა ბავშვებმა ჩინებულად გადიხადეს „ბიძია შიოს“ 30 წლის იუბილე. ვიღაცას უთქვამს: საზოგადოდ, რაც იუბილიარს იუბილეზე ეუბნებიან, იმას რომ სამი მეოთხედი გამოვაკლოთ, მაინც კიდევ გადაჭარბებული იქნებაო. მომაგონდა ეს „შიოს დღეს“ და გავიფიქრე: მოვაკლოთ კი არა, **სამი მეოთხედი რომ ზედ დავუმატოდ**, შიოსთვის, როგორც ბავშვების მწერლისთვის, ისიც ცოტა იქნებათქო. შიო ჩვენს ლიტერატურაში იშვიათი მოვლენაა. ეს არის ნიჭი ხალასი, დარჩენილი ისე, როგორც იგი ბუნებამ წარმოშვა; ნიჭი, რომელზედაც, შეიძლება საბედნიეროდ, არავის უმუშავნია; იგი თვით ხალხის გულიდგან ამონადენი მარგალიტია, ხელ უხლები, დაუფერავი, ამიტომ სრულიად ბუნებრივი შიო ბავშვებისათვის წერას **არა ცდილობს**, და ამიტომაც არის, რომ მისი ნაწერები, ბუნებრივ პირობებში დაბადებულნი, აგრე ბუნებრივნი და ბავშვებისთვის საამო და ადვილად გასაგები არიან, ბავშვებთან ახლო არიან ფორმით და შინაარსით. შიოს დედოფალა—ეს ხომ ბავშვის დედოფალაა, შიოს ფისო—ეს ხომ მისი ფისოა, შიოს კურდღელი—ეს ხომ **ის კურდღელია**, რომელიც იმასა ჰყავდა ხარფუხში; შიოს თამრო, გოგი, ქეთო, მიხა—ეს ხომ თვითონ ის არის, ან იმისი და-ძმანი, ნათესავ-ნაცნობმეგობარნი. „ბიძია-შიო“ ბავშვებს უყვართ ნამეტნავათ იმიტომ, რომ იგი იმათ **ყველას პირადათ იცნობს**, და რომ პირადად არ იცნობდეს, განა შეეძლო ასე დაწვრილებით აეწერა ის, რაც მათ და იმათ ამხანაგებს თავს გადახდათ **შარშან, წრეულს, ამას-წინეთ, გუშინ, დღეს?** აი ეს სიახლოვე შიოს ნაწერების შინაარსისა ბავშვების ცხოვრებასთან ხდის „ბიძია შიოს“ ეგრედ საყვარელ მწერლად. ამ მხრივ შიო მღვიმელს თამამად შეუძლია ამოუდგეს გვერდში ცნობილ რუსის მწერალს პლეშჩეევს. ცხადია, შიოს გავლენა ბავშვებზე დიდია, ეს დაგვიმტკიცა „შიოს დილამ“. მაგრამ ეს დილა გაცილებით უფრო ვრცელი და გრანდიოზული, ნაციონალურ-ეროვნული იქნებოდა, ისევე, როგორც აკაკის დილა, რომ ქართულ სკოლას, როგორც ეგრეთს, რაიმე გაეკეთებინა შიოს ნაწერების შესასწავლად. აქ, რასაკვირველია, გამონაკლისი არ მიიღება მხედველობაში. თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ თუ დღეს ჩვენი ბავშვები შიოს იცნობენ და უყვართ იგი, ეს უნდა დავუმადლოთ მხოლოდ და მხოლოდ „ჯეჯილი“-სა და „ნაკადული“-ს რედაქციებს, რომელთა საშუალებითაც იგინი ეცნობიან შიოს ნაწერებს. ისეთი მწერლის ნაწერების შესწავლა, როგორიც არის შიო მღვიმელი, უეჭველად სკოლაში უნდა სწარმოებდეს. სკოლა უნდა აცნობდეს მათ შეგირდებს სკოლაში შესვლის პირველი დღიდგანვე. ამ მხრივ შიოს ნაწერებში ბევრი მასალა მოიპოვება; მაგრამ ხდება ესა? სამწუხაროდ და ჩვენდა სამარცხვინოდ—არა! ვიცი, ზოგიერთები საბუთს მომთხოვენ ასეთი მსჯელობისათვის, და აი უტყუარი, ჩემის აზრით, საბუთი: ჩვენ სკოლებში ხმარობენ მხოლოდ განსვენებული ი. გოგებაშვილის „დედა-ენას“, I და II ნაწილს, და **ამ ორ წიგნშია მოთავსებული მხოლოდ ოთხი ლექსი შიო მღვიმელისა**, იმათში ორი ნათარგმნია რუსულიდან.

ორი ორიგინალი და ორი რუსულიდან ნათარგმნი ლექსის გაზეპირება—აი ის ღვაწლი, რომელიც მიუძღვის ქართულ სკოლას, როგორც სკოლას, შიოს წინაშე. საკვირველია, მაშინ, როდესაც „დედა-ენაში“ ბლომად მოიპოვება რუსულიდან და გერმანულიდან ნათარგმნი მასალა, შიო მღვიმელის ნაწერები ასე უყურადღებოდ მიტოვებულნი არიან. რათ მოხდა ასე? და თუ წინეთ ასე იყო, რატომ „დედა-ენის“ ახალ გამოცემებში არ შეაქვთ, ვისაც ჯერ არს, შიოს ნაწერები? იმიტომ რომ... მაგრამ, ეხ, მახლას; ერთი პატარძლისა არ იჩვევს: „თუ რამე ვთქვი—ყბედიაო, თუ გავჩუმდი—მუნჯიაო“. მაგრამ, არა ვგონებ ამ ძალათ დამუნჯებამ სარგებლობა მოუტანოს ხალხს. სახელმძღვანელო ხალხისთვის, და არა ხალხი სახელმძღვანელოსთვის, რათ ვართ დამუნჯებული, რატომ ხმას არავინ იღებს?

ვას. ჯაფარიძე

# ქუთაისის ცხოვრებიდან

გავერანებულ აჭარის მიწა-წყლის დაპატრონებაში ქართველ საქველმოქმედო საზ. **ქუთაისის განყოფილებამ** დიდი ნაბიჯი გადადგა. აჭარის სოფლების იჯარით ასაღებად ის მხურვალე მონაწილეობას ღებულობს და ამ მიზნით მან ბათომში თავისი რწმუნებულიც გაგზავნა და ჯერჯერობით ფულადაც 1,200 მანეთი გადასდო.

იმედია, ქუთაისის განყოფილებას ამ საქმეში საქველმოქმედო საზოგადოების მთავარი გამგეობა შესაფერ დახმარებას გაუწევს.

* * *

**სახალხო უნივერსიტეტი რომ დიდ სამსახურს უწევს ხალხს—ამაზე წერა** და კამათი ზედმეტია, მაგრამ საქმე იმაშია, რამდენად ემსახურება იგი თვით ხალხს, მდაბიო მასას.

ქუთაისში ერთ თვეზე მეტია, რაც სახალხო უნივერსიტეტმა თავისი მოქმედება განაახლა. ბ. ალ. გარსევანაშვილის მეთაურობით დაარსდა საღამოს კურსები და კვირა-უქმე დღეებში კი სახალხო ლექციების კითხვა.

თვით ბ. გარსევანიშვილი ყოველ კვირაობით კითხულობს ლექციებს და მისი ლექციებით ყველა კმაყოფილი რჩება. სუბუქი, მდაბიო გასაგები ენაა, მთლიანი შინაარსი ამა თუ იმ თემისა და ალაგ-ალაგ იუმორის ხმარებაც მდაბიო საზოგადოებას იზიდავს და სიყვარულს აღუძრავს ლექციებზე დასწრებისას.

ბ. გარსევანიშვილი ბუნებას სახალხო ლექტორად გაუჩენია. იგი ღრმად იცნობს მდაბიო ხალხის ფსიხოლოგიას და ისეთ საზრდოს აწვდის მათ, რასაც მათი სული და გული თხოულობს.

ამასთანავე არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ის ფაქტი, რამაც შეიძლება ბევრი მსმენელთაგანი შეცდომაში შეიყვანა. ამას წინად ერთმა პატივცემულმა ლექტორმა თავის ლექციაში ბორჩალოს მაზრა ძველ სომხეთათ მოიხსენია და მოიხსენია ორჯელ ხაზ გასმით. ასეთი შეცთომა პატივცემულ ლექტორს არ ეპატიება და ვსთხოვთ შემდეგში ასეთ მაგალითებს არ გაიმეორებდეს, რადგანაც სახალხო ლექციებზე ბევრი ისეთები დაიარება რომელნიც ყოველივე ნათქვამს ეთანხმებიან და ამ გვარათ შეცდომაში შედიან.

ნამი.

# წერილი ბაქოდან

ამ სათაურით „თანამედროვე აზრი“-ს მე-43 ნომერში დაბეჭდილია **დაუპატიჟებელი სტუმრის** წერილი. ამ წერილში პატივცემული ავტორი გადმოგვცემს იმ კრების ანგარიშს, რომელიც გაუმართავს კავკასიის განზრახულ სავაჭრო-სამრეწველო ბანკის ბაქოს განყოფილების საორგანიზაციო კომიტეტს.

წერილის მეორე ნახევარში ავტორს მოჰყავს კრების თავმჯდომარის თ-დი ი. დადიანისა და სხვათა სიტყვა, რასაც უცვლელად ვბეჭდავთ:

ბანკზე მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ, ბ. თავმჯდომარემ შეაჩერა კრება და მოახსენა, რომ საჭიროა გაცნობა-გაძლიერება იმ ჯგუფისა, რომელიც დიდი ხანი არ არის დაარსდა ჩვენში და რომლის მიმართულების გამომხატველი არის გაზ. „საქართველო“. ამისათვის საჭიროა შეჯგუფდენ ამ ახალი მიმართულების აქაური თანამოაზრენი, გაეცნონ „საქართველოს“ პრინციპებს და დაიჭირონ მჭიდრო კავშირი ხსენებულ ჯგუფთანო. ბ-ნ დადიანმა თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა შემდეგს: ერის განვითარებისთვის და აღორძინებისთვის საჭიროა ერთსულოვნობა. ცალ-ცალკე ჯგუფებათ დაყოფვა და მათ შორის ბრძოლა დამღუპველია ერისთვის და კიდევაც ეს იყო მიზეზი საქართველოს დაღუპვისა და რუსეთთან შეერთებისა; თუმცა, სთქვა დადიანმა რუსეთთან შეერთებამ ვერ გაამართლა ის იმედები, რომელსაც საქართველო ამყარებდა, მაგრამ მაინც ჰქონდა დადებითი მნიშვნელობა ამ შეერთებას, ვინაიდან ჩვენში ბატონ-ყმობის გადავარდნას ხელი შეუწყო და ცალ-ცალკე კუთხეების შეერთება დააჩქარა. შემდეგ—განაგრძო დადიანმა, 60 წლების მოღვაწეებმა გვამცნეს, რომ საჭიროა საქართველოს ნაწილების შეერთება, რადგანაც ჩვენ ყველა ერთნი ვართო. ისინი ღაღადებდენ ეროვნულ ერთობას, ეროვნულ დამოუკიდებლობას. შემდეგ შემოიჭრა ჩვენში ერთი მიმართულება (სოც. დემოკ.), რომელიც გაიძახის: „რას მიქვია საქართველო, რას მიქვია ეროვნული ერთობაო“. ამ მიმართულებას დაუპირდაპირდა მეორე მიმართულება—განაგრძო დადიანმა, რომელმაც აღიარა ეროვნება და მიიღო სოციალისტური დებულება. ეს ჯგუფი გახლავთ „სახალხოს“ მიმდევრები, მაგრამ ამ ჯგუფსაც ბევრი რამ აკლია. დღეს ქართველი ერისათვის საჭიროა ისეთი მიმართულება, რომელიც კერძო საკუთრებას დაიცავს, თავს დაანებებს სოციალისტურ ოცნებას და რეალურ გზაზე შედგება. სწორედ ამ მიმართულების გამომხატველნი არიან ის ზომიერი ელემენტები, რომლებმაც დაარსეს თფილისში თავიანთი ორგანო გაზ. „საქართველო“ და დაისახეს დევიზათ რეალური პოლიტიკის წარმოება. მე მგონია—დაათავა დადიანმა **„ხმა ამ ზომიერი ჯგუფისა იქნება ხმა მთელი საქართველოსიო“. ასეთი იყო სიტყვა ბ. დადიანისა, რომელიც საუკეთესო ჩვენში ბურჟუაზიული სულისკვეთება;** საყურადღებო იყო აგრეთვე გაზ. „საქართველოს“ ახალგაზრდა თანამშრომლის სიტყვა, რომელმაც გაბედულათ განაცხადა, რომ „ჩვენი მიმართულება არის დიახ ბურჟუაზიულიო“.

ილაპარაკეს სხვებმაც, მაგრამ უფრო საყურადღებო იყო მ. კ. ფოცხვერაშვილის სიტყვა. სოც. დემოკრატიის შესახებ მან იგივე შაბლონური აზრი გაიმეორა, რაც საზოგადოთ ენაზე აკერიათ „მამულიშვილებს“—ვითომ სოც. დემოკ. ეროვნებას უარყოფენ, რაც შეეხება „სახალხოელებს“—სთქვა ფოცხვერაშვილმა—მე მათ კარგათ ვიცნობ და არსებითათ არასოდეს სოციალისტები არა ყოფილანო. გამოაკლეთ „სახალხოელებს“ ორი, სამი პირი დაგრჩებათ „საქართველო“. ჩემთვის ბევრ მათგანს უთქვამს ხოლმე, რომ სოციალიზმი ჩვენთვის არის არა შინაგანი მხარე, არამედ გარეგანიო; სოციალიზმი ისე, ეტიკეტისათვის მივაწერეთ ჩვენს დროშაზეო.

# აჭარელთა მიწები

დეპეშამ სასიამოვნო ამბავი გვამცნო. ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას გარდახვეწილ აჭარელთა გავერანებული ბაღები და სახნავი მიწები იჯარით აუღია· მიტოვებული აჭარის ის ადგილები, რომელიც ჩვენის დაუდევრობით ხელში არ ჩაუვარდა იმ ელემენტებს, რომელთაც აჭარელთა უბედურობაზედ თავის კეთილდღეობის ჟღება სურთ, მეპატრონეებს აწ სავსებით მაინც არ დაეკარგებათ.

სასიამოვნოა, რომ ქართული საქველმოქმედო საზოგადოება ამ მეტად გართულებული საქმის მოგვარებას ასეთის სიმხნევით შეუდგა. ჩვენ სავსებით დაიმედებული ვართ, რომ ეს საზოგადოება აჭარელთა მიტოვებულ ქონებას კარგ პატრონობას გაუწევს და დაბრუნებულ მოძმეებს მათ ბაღებს მოვლილ-მორწყულს დაახვედრებს.

მაგრამ საჭიროა ერთგვარი სიფრთხილე; გაუბედურებულ აჭარელთა მიწა-წყალის მოვლა-პატრონობა ისე უნდა მოეწყოს, რომ ჩვენ მოძმეებს ჩვენთვის მადლობის მეტი არა ეთქმოდეს-რა. ამაზედ უთუოდ იზრუნებს ის საზოგადოება, რომელსაც ჩვენი მოძმეების მდგომარეობის შესამსუბუქებლად დღემდის ამოდენა შრომა გაუწევია.

ისკანდერ.

# ჯარისკაცის წერილი

(ეს წერილი უცვლელად იბეჭდება)

„მოგიკითხავ დიდი სიყვარულით ჩემო ძვირფასო დედავ და ღმერთსა ვთხოვ შენს დიდხანს სიცოცხლეს, ჩემი გიგლას საიმედოთ. თუ ჩემს ამბავს იკითხავ მე აქამდის თუმც ძალიან ავათ ვიყავი და ექიმებმაც იმედი გადაწყვიტეს ჩემი მორჩენისა, მაგრამ ისევ სიჯეელის სისხლმა აჯობა ამათ უიმედობას და გამოვბრუნდი როგორც იყო, მხოლოდ ძალიან სუსტათა ვარ, ისევ ლაზარეთში ვწევარ და ამ წერილსაც სხვას ვაწერინებ.

მე ის მიკვირს და ვერ გამიგია ვის მოუწერია ტყვილად ჩემი სიკვდილი, რომ ჩემი ქალები გადაგიხდიათ. ამ დღეებში ჩვენებიანთ თედო იყო აქ და იმან მიამბო ყველაფერი დაწვრილებით შენივრათ დაგაჯავრათ ყველას, ან შენ როგორდ გეწყო წინ ჩემი ძველი ტანისამოსი, როგორ ტიროდი, ან სხვები როგორ ტიროდნენ, ყველას სათითაოდ აჯავრებდა ტირილს, ბევრი აცინა ჩემი მეზობელი ავადმყოფები. ეს საცა უნდა წაიყვანონ არ მოიშლის თავის ხუმრობას, მხოლოდ იმასა სწუხს, რომ ფანდური წაურთმევიათ უფროსებს. თურმე საცა უნდა ყოფილიყო სულ იმას უკრავდა, მე მკითხა—თუ იცი· აქ ვერ ვიშოვნი ფანდურს, რომ ვიყიდოვო? ამაზედ გაუჯავრდი—კაცო: ხომ არ გაგიჟდი, შენ საომრად წამოგიყვანიხარ და ფანდურს რაღას დეეძებ მეთქი. ამაზედ მეტი რა შემრჩება. მე რომ აღარ დაუკრა, აღარ ვიმღერო და სულ ვიტირო, იმით ხომ ვერ ავიცდენ სიკვდილსაო, ამიტომ ისევ მირჩევნია, სანამ მომკლავენ მხიარულად ვიყოვო. ცოტა ხანს კიდევ დარჩა ჩემთან, მერე გამომემშვიდობა და წავიდა.

ეხლა ამას გეედრები დედავ და ამას გიტოვებ ანდერძათ გამიზარდო ეგ ერთად ერთი ჩემი შვილი, ჩემი ჯიგარი, ჩემი გიგლა და სწავლა მიაღებინო ნამდვილად ღვთის მოწყალებით ჩემი შრომით საკმაო მამულები დაგვრჩა და იმედია ეყოფა მაგის სწავლას. ყველაფერი გაყიდე და მაგასკი სწავლა მიაღებინე, რომ გამოადგეს თავის-თავს, თავის სამშობლოს. ეხლა როგორც მე დავრწმუნდი უსწავლელი კაცი მეტი ბარგი ყოფილა ამ ქვეყნად. აი ეხლა ისეთი სარკე დაგვიდგეს წინ რომ აშკარათ დაგვანახვეს სწავლა რას აკეთებს.

ეხლა ვიცი იმას იკითხავ, რა ადგილას დამჭრეს ან სად და აი ამასაც მოგწერავ. მე გავიგე თუ არა ჩემი ოჯახის შერცხვენა, ისე იმოქმედა ჩემზედ, რომ ჩემ თავს აღარ ვეკუთვნოდი. ისე გადავირიე, ნამდვილ გიჟს დავემგზავსე, აღარ მესმოდა სად ვიყავი, დაჭრილი ლომივით ვღმუოდი, უხმოთ ვტიროდი, სიბრაზე მახრჩობდა, მერე მიველი და უფროსებს შევეხვეწე, სახლში დავეთხოვენე, მაგრამ უარი მივიღე, რადგანაც სწორედ მესამე დღეს უნდა გასულიყო ჩვენი პოლკი საომრად. მერე გადავწყვიტე გამოპარვა, რომ მოვსულიყავი და სისხლით გადამერეცხა ჩემი შერცხვენა, მაგრამ ცოტა ფიქრის შემდეგ ისევ დავიშალე და სირცხვილათ მივიღე ბრძოლის დროს გამოპარვა, ამხანაგებთან შერცხვენა ჩემი პირადი საქმისთვის. მერე როგორი ამხანაგები ვიყავით? ერთიერთმანეთზედ უკეთესები ათნი ვიყავით, ათივე ქართველები. სულ ერთად დავდიოდით, პირობაც ისე გვქონდა ერთად გვებრძოლა და მესამე დღეს მაინც ერთად გავედით საომრად. სრული ერთი კვირა ვიბრძოლეთ და რაღაცა სასწაულით ვერ გვიპოვნა ტყვიამ, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ დილით ერთ მთის ძირას ვისხედით თხრილში, ერთი ქიზიყელი ბიჭი გვერია იქ, რომელიც მშვენივრათ უკრავდა სალამურს და ჩვენ კიდევ ყურს უგდებდით, მტერი არა სჩანდა ჯერ და არც თოფის სროლა იყო არსად. ნახევარი საათის შემდეგ დაიჭექა უცბათ რაღაცამ და ერთბაშად ერთი დიდი მთა დაგვეცა თავზედ ათივეს. ამის მეტი აღარაფერი მახსოვს და როცა პირველათ თვალი გავახილე, მაშინ ვიგრძენი რომ ლაზარეთის ერთ ტახტზედ ვიწექი, მივიხედ-მოვიხედე და ჩემს ახლო-მახლო სულ უცხო ჯარის კაცნი იწვნენ, დაჭრილები იმათში სამი ქართველი არის, ეხლაც აქ ჩემს ახლოს მხოლოდ, რა მოუვიდათ ჩემს ამხანაგებს ეს ვერ გავიგე. რაღა მოგწერო დედავ ამის მეტი ჯერ-ჯერობით. ამით ვათავებ ჩემ წერილს და შემდეგ კიდევ მალე მოგწერ როცა მოვჯანიანდები ჩემი ხელით. ეხლა მომიკითხე ჩემი ბიჭიკო და გიგლა პირზე კოცნით და ყველა ნათესავები.

გწერს შენი შვილი **ზურაბი.**

## წერილი ფოთიდან

**(ფანტაზისტები და მცხოვრებლები)**

ფანტაზისტების თარეში ამ ისედაც მრავალი გზით შევიწროებულ ხალხში მრავალი მხრიდან გვესმის, მარა არა გვგონია საზოგადოება დაემონავებიოს ნაძირალებს ისე, როგორც ეს კურთხეულ ჩვენ ქალაქში. საზოგადოებას ალბად ახსოვს ამას წინად ამა ავაზაკებისაგან თოფურიძე—ჭყონიაზე თავდასხმა, პირველზე ქუჩაში სეირნობის დროს, თვით საპოლიციო განყოფილების წინ და მეორეს სახლიდან გატაცება.

ამ დღეებში ხსენებულ ჭყონიას ქარხანას ცეცხლი წაუკიდეს, რაც დროზე ჩააქრეს, თორემ მთელი უბანი გადაიბუგოდა. მიზეზი ცეცხლის გაჩენისა იმ 10 ათასი მანეთის გადაუხდელობა ყოფილა, რომელსაც ფანტაზისტები ს. ჭყონიას ევალებიან თურმე თავიანთი მოკლევადიანი „ვექსილით“ ასეთსავე „თამასუქებს“ უგზავნიან ეს ავაზაკები მრავალ სხვა და სხვა პირებს, რომელთაც მცირეოდენი შეძლება აქვთ. ვისაც აქ ცხოვრება და ქონების უზრუნველყოფა ჰსურს „ნებართვა“ უსათუოდ ფანტაზისტებიდან უნდა აიღოს. მრავალი გამოცდილებით ვიცით, რომ საზოგადოების ნაძირალებთან ბრძოლაში ხალხის დაუხმარებლათ ვერავინ ვერაფერს გააწყობს. ამის მაგალითს იძლევა გურია და სამეგრელო და მრავალი სხვა კუთხე, რის შესახებ ხშიდად ამოიკითხავთ გაზეთებში ცნობებს. ჩვენ კი გულხელი დაგვიკრეფია და ველით ვიღაცას მხსნელს თუმც არსაიდან მოდის. საჭიროა საზოგადოების მოწინავე ნაწილმა აღძრას შუამდგომლობა სადაც ჯერარს, მოიწვიონ მცხოვრებთა ყრილობა, ამოირჩიონ მართალი პირებისაგან მაძიებელი კომისია ერთი ორი კვირის განმავლობაში ყველა დამნაშავე აღმოჩენილი იქნება.

**სტუმარი**

## დაბა-სოფლები

**ს. ქედა.** აქ ჩამოვიდა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების წარმომად გენელი კონ. ივ. კობახიძე, რომელმაც დაურიგა ომისაგან დაზარალებულ აჭარლებს თბილი ტანისამოსი. წელს აჭარაში დიდი თოვლი იყო იანვრის დამლევამდი, რის გამოც ბათომიდან დ. ქედამდი მიმოსვლა შესწყდა რამოდენიმე დღით, ამიტომაც ვერ მოხერხდა იანვარში აქ ტანისამოსის ჩამოტანა და დარიგება.

ბ-ნმა კ. ი. კობახიძემ გადასცა თბილი ტანისამოსი და საცვლები მოსწავლეებისათვის დასარიგებლად ადგილობრივი სკოლის მასწავლებლებს, რომლებიც ულრმეს მადლობას უცხადებენ, როგორც ბ. კ. კობახიძეს, აგრეთვე ქართვ. საქვ. საზოგადოებასაც აღნიშნული ტანისამოსის შემოწირვისათვის.

ს. ქედაში ამ მოკლე ხანში გაიხსნება მომხმარებელი დუქანი, რომელიც მიაწოდებს ადგილობრივ მცხოვრებთ პირველ საჭიროების ნივთებს იმ ფასებში, რაც ჯდება მათი დამზადება ადგილზე მოტანის ხარჯის მიმატებით. ქვედა აჭარის გარდა ამ დუქნით ისარგებლებენ იმერხევ-შავშეთის მცხოვრებნიც. დუქნის გამგეთ არის დანიშნული ადგილობრივი სკოლის ზედამხედველი სოფოკლი იორდანიდი. დუქანი იხსნება ტატიანა ნიკოლოზის ასულის კომიტეტის თაოსნობით, რომელსაც ამ საქმისათვის განსაკუთრებული თანხა გადაუდვია, რომ ომისაგან დაზარალებულ მცხოვრებთ საშუალება მიეცეს იაფათ შეიძინონ პირველ საჭიროების ნივთები.

**მ. კოპალეიშვილი.**

—

**ს. ენისელი.** აქ არსებობს სოფლის სკოლა სამის მასწავლებლით, რომელთაც სულ ქალები შეადგენენ. ეს ქალები შიგ სასწავლებლის შენობაში ცხოვრობენ და მშვენიერი განწყობილებაცა სუფევდა მათ შორის; მხოლოდ მათი მყუდროება, ჩვენდა საუბედუროდ, დაარღვია შემდეგმა გარემოებამ, 6 თებერვალს ორი მათგანი გაემგზავრა თელავში თავის საკუთარ საქმეებისათვის და მესამე კი დარჩა სახლში; სახლშივე დარჩა აგრეთვე ერთი მასწავლებლის ქმარი, უკვე ცნობილი მთელი თელავის მაზრაში როგორც „სკანდალისტი“ და დიდი რაინდი არა მშვიდობიან ცხოვრებისა!.. ეს გახლავთ ბატონი სოლო ჯ—ძე. ამ ვაჟბატონმა როდესაც დაიმარტოა უმანკო ქალი, მოიწადინა მისი პატიოსნების შელახვა; არა თუ მარტო გახრწნილი სიტყვებით—საქმითაც, რომელზედაც იხმარა თვისი ფიზიკური ძალ-ღონეც. გაშმაგებულმა ხელით შეურაცხყო თვით ქალი, რომელიც მასთან ბრძოლის დროს გამოუსხლტა მის საშინელ ბრჭყალებს, გადმოხტა ფანჯრიდგან და შეაფარა თავი ერთს ახლო მეზობელ ოჯახს.

რა შედეგი უნდა იქონიოს ამისთანა საზარელმა შემთხვევამ უსწავლელ ხალხზედ, როდესაც ცოტად თუ ბევრად განათლებული და ბრწყინვალე წოდების ნაშთი, ამისთანა გულ-შემზარავ ამბებს ახდენს.

**თედო გიგაშვილი.**

—

**ს. ქარელი.** საერთოდ გორის მაზრის ვაკე სოფლები ცნობილნი არიან მოსავლის სიუხვითა. იგინი ჭინახულის მოსავლის მხრივ თითქმის. ყოველთვის უზრუნველნი ყოფილან და მათ შიმშილი არა სწვევიათ.

წელსაც, თუმცა მრავალი სოფელი —ქარელი, ქვემო და ზემო ხვედურეთი, ჭანდრები, ხეობა, ქვენაფლავი, კეხიჯვარი, სამწევრისი, სანებელი, იმერხევი, ბატიური, და სხვ. ნიაღვარმა დიდათ დააზარალა, მაინც მცხოვრებნი ისეთ შიმშილობას არ მოელოდნენ, როგორიც მათ თავს დაატყდათ. მანამ მოსავალს შეაგროვებდნენ და შეამოწმებდნენ თავიანთ ბეღელ-გოდორებს, კიდევ იმედი ჰქონდათო, ნახევარ მოსავალს მაინც შეაგროვებდნენ, მაგრამ, როცა მოსავალი სულ მთლად შეაგროვეს და ბეღელ-გოდრებში ვერა ჩაჰყარეს-რა, ელდა ნაცემები აქეთ-იქით ეცნენ სარჩოს შესაძენად, მაგრამ ან სულ ვერ იშოვეს, ან თუ იშოვეს კოდი არა ნაკლებ რვა ცხრა მანეთისა. ხალხმა ბევრი ფიქრისა და ჭმუნვის შემდეგ მიჰმართა ადგილობრივ მღვ. მ. ოქროპირიძეს და სთხოვა სარჩოს შეძენის საქმეში დახმარება. მ. ოქროპირიძემ ხალხს აცნობა, რომ თბილისის ქართული საქველმოქმედო საზოგადოება კისრულობს ჩრდილოეთ კავკასიიდგან პურის შემოტანასო გაჭირებულთათვის და, თანახმად გომის სინდიკატის წარმომადგენელის განცხადებისა, ეს პური თბილისში და მის მახლობელ სადგურებზედ დაჯდება არა უმეტეს რვა აბაზისაო. ხალხმა დიდად გაიხარა ამნაირ შეღავათიან ფასში პურის შეძენა, შეაგროვა ბეთ წასადგენათ 1079 მან. და სთხოვა მ. ოქროპირიძეს საქმის დაწყობა. მან 30 ენკენისთვეს, თანახმად საქველმოქმედო საზოგადოების წინადადებისა, წერილობითი განცხადება შეიტანა, რითაც თხოულობდა ს. ქარელისთვის ორ ვაგონ პურსა და აგრეთვე სთხოვდა საზოგადოებას ეჩვენებინა სად წარედგინა ბე. საქველმოქმედო საზოგადოებამ თავისის წერილით 6 ოქტომბრიდან 1915 წ. № 181 უპასუხა, რომ ქ. გორში დაარსდა გორის სამაზრო ბიურო მისამართითო: Горійское кредитное товарищество“ აი ამ ბიურომ იტვირთა საქვების შემოტანა მთელ მაზრაშიო და თქვენთვისაც ამან უნდა გასწიოს ხელმძღვანელობა პურის შემოტანაშიო და თქვენთვის ამ ბიუროს წინადადების მიუცემლად, სხვა კონტრაგენტს ვერ შევეკვრითო. ამ პასუხის შემდეგ წარვადგინეთ 250 მანეთი ბე გორის ბიუროში, ხოლო ბიურომ ჩვენი 250 მ. უზრუნველჰყო ექვს პროცენტიანი წიგნაკით № 470 (Вкладная книжка № 470 6%). და დაგვაიმედა, რომ, რადგანაც „ნარიადი“ უკვე მზათა გვაქვსო, იმედია ჭირნახულს ორ კვირაზედ მივიღებთო მაგრამ ბე 250 მ. წარვადგინეთ 9 ღვინობისთვეს და მას შემდეგ ოთხი თვეც გავიდა, და საუბედუროთ ხორბალი არსადა სჩანს და მათგან დაიმედებული ხალხი საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა და სიმშილისგან დიდ გაჭირვებას განიცდის. მათ რომ არ დაეიმედებინათ ხალხი. თუმცა ღვინობისთვეში ფუთს ორ მანეთს—თერთმეტ აბაზს აფასებდნენ, მაინც იყიდდნენ. სოფლის გლეხკაცს ინტელიგენციის ნდობა არა აქვს და ახლა ამ ნდობას სამუდამოდ თუ არა, დიდი ხნით მაინც ბოლო მოეღო და ეს კი სასიამოვნო არ არის. გორის ბიურომ ეს უკანონობაც ჩაიდინა: მან ბეთ 250 მან. რომ მიიღო ექვს პროცენტიანი წიგნაკი მისცა, როგორც ზევითაც მოვიხსენე. მაშასადამე, როდესაც ბიურომ თვისი პირობა ვერ შესრულა ოთხი თვის განმავლობაში, მას არც იურიდიული და არც ზნეობრივი უფლება არ ჰქონდა სამი თვისა და 26 დღეს სარგებელი დაეჭირა. განა ბიუროს წარმომადგენლებს არ ესმით, რომ ის ექვს პროცენტიანი წიგნაკი, რომელიც მათ მოგვცეს ბეჭედ დაკრული და ხელმოწერილი ბანკის მმართველის მიერ უკვე უდავო საბუთი იყო. როცა რომელიმე ბანკი კოტრდება მაშინ კი ხდება ხომე ასე და სარგებელი კი არა თავნიც იკარგება, მაგრამ ეს ხიფათი გორის ბანკს არ მოსვლია.

**წალკოტელი.**

## პროვინციის ქრონიკა

(გაზეთებიდან)

**ს. კიწია (ოდიში).**

ს. კიწიას მცხოვრებს ქალ. ნ. ჩაჩიბაიას ბოროტგამზრახველებმა დაუწვეს სიმინდით სავსე სასიმინდე. ზარალი 200 მან. აღემატება.

**ს. კუთირი (ქუთ. მაზ.)**

საძოვარზე, გასულ კვირაში დაიკარგა ათამდე ცხენი. ასეთი ქურდობა ამ საძოვარზე მეტად ხშირი მოვლენაა, რაც ადგილობრივ მცხოვრებლებს აუტანელ მდგომარეობაში აყენებს.

**დ. ახალსენაკი.**

16 თებერვალს გაუქურდავთ ბ. ფირცხალავას საკარეტო სახელოსნო. წაუღიათ სხვა და სხვა ნივთები 850 მ. ღირებული.

**ს. ჩხარი (შორ. მაზ.)**

15 თებერვალს ოთხ შეიარაღებულ ბოროტმოქმედს გაუცარცვავთ ადგილობრივი მცხოვრები ვასილ ფანჩულაძე, წაუღიათ 200 მან. მძარცველები ვერ აღმოაჩინეს.

**ქ უ თ ა ი ს ი.**

კვირას, 21 თებერვალს, შავი ქვის საბჭოს დარბაზში მოხდა ახლი მომხმარებელი საზოგადოების „მომავალი“-ს წევრთა ყრილობა. ყრილობაზე უნდა აერჩიათ გამგეობა და სარევიზიო კომისია.

**სოფ. ჯვარი.**

ს. ჯვარში განიზრახეს კოოპერატიული საზოგადოების დაარსება.

## მაჰმადიანთა ცხოვრება

24 თებერვალს „ნიჯათი“-ს საზოგადოების შენობაში მოწვეულ იქმნენ ბაქოს მაჰმადიანთა მასწავლებლები სადაც შეიმუშავეს ახალი პროგრამა „ნიჯათი“-ს საზოგადოების სკოლებისათვის.

გაზ. „კასპი“-ს მოუვიდა მაჰმადიან გამოქცეულთათვის გადასაცემად ს. ნაზარ-ბეგიდან 334 მან.

## სომეხთა ცხოვრება

გამოქცეულ სომეხთა სასარგებლოდ გაზ. „ბაქო“-ს მოუვიდა შახ-გედანოვისაგან შეგროვილი სტუმართა შორის 45 მან., ხოჯაპიროვისაგან შეგროვილი ქორწილში 22 მან.

— სომეხთა გამოქცეულ ობოლ ბავშვების სასარგებლოდ გაზ. „ბაქო“-ს მოუვიდა კოჩაროვისაგან 20 მან., ქ-ნ ანნა გასპარიანცისაგან დღესასწაულში შეგროვილი 40 მან.

— სომეხთა კაცთმოყვარე საზოგადოებამ მიიღო 100 მან. გარდაცვალებულ იუზბაშევის გვირგვინის მაგიერ.

## თეატრი და ხელოვნება

**ქუთაისი.**

20 თებერვალს ქალაქის თეატრში გაიმართა „ქართული დრამის“ რეჟისორის შალვა დადიანის ბენეფისი. საბენეფისოდ დადგეს ვ. შალიკაშვილის პიესა „გადაჭრილი მუხა“.

— 18 თებერვალს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში გაიმართა დრამატიული საღამო. წარმოადგინეს ტურგენევის კომედია „უფულობა“ და ს. ერთაწმინდელის დრამა „სიკვდილი ჩრდილოეთში“.

— პარასკევს 19 თებერვალს ქუთაისის რეალურ სასწავლებლის შენობაში გაიმართა საღამო.

**ბათომი**

კვირას 14 თებერვალს, ბათომის ქართულ სცენის მოყვარეთა წრემ იშხნელის მონაწილეობით და ჯაყელის რეჟისორობით წარმოადგინა აკაკის ისტორიული დრამა „პატარა კახი“.

**სოხუმი.**

14 იანვარს, წერა-კითხვის გ. ადგილობრივ განყოფილების თაოსნობით გამართული იქმნა ქართული საღამო, რომლის შემოსავალი დაახლოვებით 4 ათას მანეთამდე ავიდა. წარმოდგენილი იყო „ქართველი დედა“.

## შემოწირულება

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შემოსწირეს:

1. კონსტანტინე სიმონის ძემ მასხარაშვილმა: ა) თეთრი ფული (არაბული) და ბ) თითბრის ორი ნატეხი.

2. ივანე სოლომონის ძემ მეძმარიაშვილმა: ოთხი შავი ფული.

3. კონსტანტინე იოსების ძემ მამაცაშვილმა: ა) Путешествіе Наслѣдника Цесаревича“ ექვსი ტომი სამ წიგნად.

4. ელენე ალექსანდრეს ასულმა აბულაძემ: ა) ფოტოგრაფიული სურათი კონსტანტინე ქრისტეფორის ძის მამაცაშვილისა.

5. კაპიტონ დიმიტრის ძემ ბაქრაძემ: ა) ოსმალური წიგნი წითელ ტყავის ყდაში (ნაპოვნია ქ. დუტახში ოსმალების საავადმყოფოში), ბ) ერთი სპარსული თეთრი და ორი ნიკელი გ) ოსმალური ოთხი ნიკელის ფული და ერთი თეთრი.

საზოგადოების საბჭო გულითადს მადლობას უძღვნის შემომწირველებს.

—

ბ. რედაქტორო!

გახლებთ ექვს თუმანს, რომელიც შემოსწირეს პოზიციებზედ მყოფმა ქართველებმა ულმობელ ომისგან აწიოკებულ ძვირფას ძმების აჭარლების სასარგებლოდ. გთხოვთ მათი სია მოათავსოთ თქვენ პატივცემულ გაზეთში. სია: ქართველიშვილი, გვალია, დგებუაძე. ექიმები: ი. ტოგონიძე, ი. ჩოგოვაძე, ვ. კაკოშვილი.

ამხანაგების მონდომილობით

**ვ. კაკოშვილი.**

**გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.**

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

> An die Kommandatur
> des Kriegsgefangenenlagers
>
> აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.
>
> Liebesgaben für die russischen Kriegsgefangenen.
>
> აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.
>
> Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingnenstrasse, № 48, A. A. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond Russe pour les prisonnier de guerre.

**ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ** შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

> Швейцарія Заказное
> Suisse. Recommandée
> Comité International de la Croix Rouge.
> Agence des prisonniers de guerre Genève.

## ჩვენი ფოსტა

თელავი. გ-ნ თელაველს. თქვენი წერილი ამ სახით არ დაიბეჭდება. საჭიროა სრული გამორკვევა საკითხისა ერთხელ და სამუდამოდ. იმედი გვაქვს თქვენს მოვალეობას შეასრულებთ.

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისიდან გადის:**

| | | № | ს. წ. | |
|---|---|---|---|---|
| ბათომისკენ | სამგ. მ. | 9 . | 8.53 | სღ. |
| „ | საფ. „ | 3 . | 9.58 | დილ. |
| ხაშურისკენ | სამგ. „ | 19-20 | 3.20 | ნაშ. |
| ბაქოსკენ | ჩქარი „ | 4 . | 10.20 | სღ. |
| „ | ჩქარი „ | 6 . | 12.8 | დღის |
| „ | სამგ. „ | 8 . | 11.13 | ღამ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 . | 11.13 | ღამ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათომიდან | საფ. მ. | 4 . | 9.30 | სღ. |
| „ | სამგ. „ | 10 . | 9.51 | დილ. |
| ბაქოდან | საფ. „ | 3 . | 9.3 | დილ. |
| „ | ჩქარი „ | 5 . | 7.41 | სღ. |
| „ | სამგ. „ | 7 . | 1.42 | ნაშ. |
| ხაშურიდან | სამგ. „ | 19-20 | 7.25 | დილ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 . | 8.8 | დილ. |

### კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტფილისიდან . . | 8 ს. | 58 | წ. | დილ. |
| ნავთლუღი-ამიერ კავ. | 9 „ | 23 | „ | „ |
| ნავთლუღი-კახეთისა. | 9 „ | 43 | „ | „ |
| ვაზიანიდან . . | 10 „ | 42 | „ | „ |
| იორიდან . . . | 11 „ | 35 | „ | „ |
| საგარეჯოდან . . | 12 „ | 17 | „ | „ |
| ბადიაურიდან . . | 1 „ | 15 | დღის | |
| მელაანიდან . . . | 2 „ | 37 | „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 4 „ | 08 | „ | „ |
| ვაჩნაძიანიდან . . | 4 „ | 58 | „ | „ |
| თელავში მიდის . | 5 „ | 35 | „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 4 „ | 18 | „ | „ |
| კარდენახიდან . . | 4 „ | 50 | „ | „ |
| წნორის-წყალ. მიდის | 5 „ | 15 | „ | „ |

**თ ე ლ ა ვ ი დ ა ნ**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თელავიდან . . . | 8 ს. | 58 | წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან . . | 9 „ | 45 | „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 10 „ | 46 | „ | „ |
| მელაანიდან . . | 12 „ | 02 | „ | „ |
| ბადიაურიდან . . | 1 „ | 13 | „ | დღის |
| საგარეჯოდან . . | 2 „ | 15 | „ | „ |
| იორიდან . . . | 2 „ | 53 | „ | „ |
| ვაზიანიდან . . . | 3 „ | 40 | „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. . | 4 „ | 31 | „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 4 „ | 46 | „ | „ |
| თბილისში მიდის . | 5 „ | 01 | „ | „ |
| წნორის-წყლიდან . | 9 ს. | 16 | წ. | დილ. |
| კარდანახიდან . . | 9 „ | 46 | „ | „ |
| გურჯაანში მოდის | 10 „ | 16 | „ | „ |


# ჯეჯილი

**საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი**

**ოცდა მეშვიდე წელიწადი**

ჯეჯილი დაარსებულია 1890 წ. გამოვა 1916 წ. თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა, პატარებისათვის და მოზრდილთათვის

# ჟურნალი „ჯეჯილი“

თბილისში ეღირება 4 მან. ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5 მან. ნახევარი წლით 3 მან., ცალკე ნომერი 40 კაპ., ხელის მოწერა მიიღება თბილისში—ჯეჯილის რედაქციაში (არტილერიის ქუჩა, № 5.) რედაქციაში ისყიდება ყველა **26** წლის ნომრები და რედაქციის გამოცემული საყმაწვილო წიგნები.

**ფოსტის ადრესი:** Въ Тифлисъ въ Ред Грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“

რედაქტორ-გამომცემელი **ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.**

**წ ი გ ნ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა**

# „ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).

**ი. დ. კ ი კ ნ ა ძ ი ს ა.**

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

# თევზის მრეწველნი

# ძმ. ძეგველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

# განყოფილება ავლაბარში

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-შვით**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი „„**მეშოჩნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრედვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.




სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.